

3 ლ 2 6 0 8 8 0 ლ 6 8 0

# მომიწოდები

წიგნი პირველი.

საქართველო აჯანდებამდე  
(1921—1924)

---

საქ. ს.-დ. მ. გ. სახელმწიფო ბიუროს გამოცემა.  
პარიზი, 1936 წ.

3 ლ 1 ს ა 8 8 0 ლ 1 ა 6

# არამონავაზი

წიგნი პირველი.

საქართველო აჯანცემაში

(1921—1924)

---

საქ. ს..დ. მ. პ. საჭღვალ-გარეთელ ბიუროს გამოცემა.

პარიზი, 1936 წ.

K 66.80.2  
2



ଶ୍ରୀକୃତିମନ୍ଦିର ମହାନ୍ତିରାଜ  
କବିତା ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ଓ ଲୋକପରିଚୟ

ამ ჩემს მწარე მოგონებებს ვუძღვნი  
1924 წლის აჯანყებაში დაღუპულთა წხოვნას.

ა ვ ტ ო რ ი .

## I. სამშობლოს ცანგ.

საქართველოს კაზე, ვითარცა ცხოველმყოფელი მზე, გამობრწყინდა თავისუფლება, რომლის მაღლით ერი შეიმოსა, კვლავ დიდებით აღსდგა და მთელი ძალლონით სახელმწიფო აღმშენებლობას შეუდგა...

საქართველოდან ეს თავისუფლება კავკასიას მოეფინა, ვითარცა შვიდთეროვანი ცისარტყელა იალბუზის, მყინვარის და არარატის მწვერვალებს გაეკრა, სპეტაკი თავები გადაუკოცნა, მცხოვრებნი სალათას ძილისაგან გამოალვიძა, განახლებულ ცხოვრებისათვის აღადგინა, ძმობა, ერთობა და სიყვარულის ემბაზში მონათლა, კავკასიის ერების საერთო სასიარულო გზა გამოაჩინა და თავიანთი მეობის გადასარჩენათ შეაკავშირა...

კავკასიის ერების გამოლვიძებით გამხიარულებული თოვლით გადალესილი მაღალი ქედები ცის კამარაში აზიდულიყვენ, ლაუვარდ სივრცეში ბრწყინავდენ შემომქმედის საქებ-საღიდებლათ; თავიანთ გულძკერდით კავკასიელთა თავისუფლებას იცავდენ!..

ქართველი ერი, ვითარცა ჯვარსაწერათ გამზადებული მეფე-დედოფუალი, აღსავლის კარებს ამშვენებდა...

უცებ ცა მოილურბლა, მოიქუშა, კავკასიონის შვენიერი ქედები ჯანყ-ბურუსმა დაფარა, შორს სივრცეში ელვა გამოკრთა, შავი ლრუბლები ცეცხლის

ხაზებით დასერა, დაიკლაკნა, იჭექა, იქუჩა სამყარო შეარყია, სამშობლოს თავზე ზეცა რისხვით დატრიალდა.

კავკასიის მაღალი ქედებიდან ტყვიის ფერი ლრუბლები სისწრაფით ხეობებს მოედვენ, ბალნარათ ქცეული მიდამო სეტყვამ გაანადგურა, საშინელმა ქარიშხალმა დიდრონი მუხები, კაკლის ხეები ძირიანა მოგლიჯა-მოთხარა, ეზოების დამამშვენებელი ალვის ხეები გადაამსხვრია, თვალის სატკენი გაბადა...

მთის კალთებიდან ნიალვარი მოვარდა, ყოველივე წალეკა, ააოხრა; აღიდებული მდინარეები მოქუბდენ, კალაპოტიდან გადმოდიოდენ, ხალხის სარჩო-საბადებელს ზლვისკენ მიაქროლებდენ...

თითქოს ბუნება გრძნობდა საშინელი ძალის მოახლოებას, ყოველივე შერყეული და შეძრწუნებული იყო...

მოულოდნელათ საქართველოს ყოველმხრივ რუსეთის ჯარი შემოესია და ამ ტურთა მხარის აოხრება იწყო...

წითელი ფერის ველურები თფილისისაკენ მოილოდენ, სასტიკი იერიშები ქალაქზე მოქმნდათ... ერის გულისა და ტვინის—თფილისის—დასაცავათ კოჯორ-ტაბაზმელას მთის კალთებში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა, სანგრები ხელიდან ხელში გადადიოდა, თოვლით გადათეთრებული მიდამო წითლათ სისხლით ილებებოდა...

## II. რუსეთის მობრუნება საქართველოში.

მტრის მიერ დაპყრობილი თფილისი ნალვლიანათ გამოიყურებოდა... რუსეთის ჯარის შემოსვლას დედა-ქალაქი სამარისებური სიჩუმით შეხვდა, ქართველი ხალხი ქუჩებიდან გაქრა, სახლებში ჩაიკეტა, თეატრები, სინემა, გასართობი აღგილები უცხოელებით გაივსო, ქალაქში ვიგინდარები ურცხვათ ილმიჭებოდენ. ქართველი ბოლშევიკები ნაცნობ ქართ-

ველებს დაძმარებულნი ეხვეწებოდენ ქუჩებში გამო-  
დით, თქვენ ხელს არავინ გახლებთ, თეატრში იარეთ,  
რუსის ჯარს დაენახვეთო... ქართველობა ბოლშევი-  
კებს ზიზღით უყურებდა, მათ შეხვედრას ერიდე-  
ბოდა...

თოვლით გადასულოულ კოჯორ-ტაბახმელას  
მთის კალთებში ქართველი ხალხი დამწუხრებული  
დადიოდა, სამშობლოს დაცვისათვის, თავდადებულ  
სასახელო შვილების გვამებს ეძებდა, სისხლით შე-  
ლებილ თოვლში პოულობდა, მათ გათოშილ-გაყი-  
ნულ სხეულს ერთად თავს უყრიდა, საგანგებო ნება-  
რთვით თფილისის ქალაქის საავათმყოფოში მოას-  
ვენებდა...

ჩვენი სასიქადულო დედები, სასახელო დები  
ნელ-საცხებელით დაჭრილ-დასერილ ჭრილობებს  
ბანდენ, სამშობლოს დაცვისათვის ტყვიით გახვრე-  
ტილ გულ-მკერდს სურნელოვან წყლით უსპეტაკე-  
ბდენ, ხუჭუჭა თმას უვარცხნიდენ, ალვის ხესავით  
სარო ტანს უსწორებდენ, მაღლიან მკლავებს, რომ-  
ლითაც უამრავ მტერს უსწორდებოდენ, ეხლა სინა-  
ზით ფოლადისებურ გულმკერდზე უკრეფდენ, მათ  
ვაჟკაცურ სახეს ცრემლით ალბობდენ...

მტრის შემოსევის შემდეგ თფილისში ქართვე-  
ლი ხალხი პირველად შეიკრიბა, შავი ფლასითა და  
ძაძებით მოსილი ქალაქის საავათმყოფოს მოაწყდა...  
სამგლოვიაროდ შემოსილმა სამლელოებამ საავა-  
თმყოფოს ტაძრიდან რამდენიმე ათეული შავათ მო-  
სილი კუბო გალობით გამოასვენა, რამდენიმე ათასი  
დამწუხრებული ქართველი ვიშითა და გოდებით  
რუსთაველის გამზირით გაემართა, სასახლის წინ  
დიდების ტაძრის გალავანში გადაშავებული გაიშა-  
ლა. რამდენიმე ათეული ვაჟკაცების ცხედრები ერ-  
თად ესვენა, ისე, როგორც მხარდამხარ იცავდენ სა-  
მშობლოს მოზღვავებულ მტრისაგან, მხოლოთ ახ-  
ლა მათ ახალგაზდა სხეულს საჭურველის მაგიერ  
ყვავილთა თაიგულები ამკობდა...

— მამულისათვის თავდადებულ გმირების საფ-  
ლავზე მუხლი მოვიყაროთო, — კათალიკოს ლეონი-  
დეს სიტყვაზე მთელი ხალხი პირქვე დაემხო, გულის  
მომკვლელი ქვითინი გაისმა. მოულოდნელათ თვით  
ჩეკისტებიც მუხლებზე დაეცენ, მერე დარცხვენით  
წამოდგენ! ხალხი ჩეკისტებს ზიზღით უყურებდა,  
მის მგლოვიარე გამოხედვაში რისხვა იხატებოდა!

აქ ლეონიდემ პანაშვილის შემდეგ წარმოსთქვა  
სიტყვა, დიდებით და ქებით მოიხსენია მამულისათ-  
ვის თავდადებული გმირები, ქართველი მხედრობა  
და ეროვნული მთავრობა...

ამ ზღვა ხალხს ჩეკისტები შემკრთალი შეყურე-  
ბდენ, მტრის ზოგი სამხედრო პირები ერთმანეთში  
ამბობდენ: ხალხმა, რომელმაც ასეთი გლოვა იცის,  
დიდი კულტუროსანია და პატივის ლირსიალ!..

ეს იყო ქართველების პირველი თავის მოყრა და-  
პყრობის შემდეგ. ბრძოლის გაგრძელების ფიცი აქ  
უსიტყვოთ, უხმაუროთ იდებოდა...

### III. თფილისის გამარცვა.

რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სა-  
ხელმწიფო დაწესებულებებში დაბანაკდა, კერძო ბი-  
ნებზე და ოჯახებში მოთავსდა. მრავალ საუკუნოე-  
ბით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე  
და ზნეობა შეირყვნა... ყოველგვარი ავეჯეულობა  
და ოჯახის სამკაულები ავტომობილებით თფილი-  
სის სადგურზე დლიდან-ლამიანათ გაქონდენ, ვაგო-  
ნებში აგროვებდენ, რუსეთში აგზავნიდენ. ოთახე-  
ბიდან გამოქონდათ როიალები, რომელთაც თვალ-  
ცრემლიანი დედები კუთხეში მიკუნჭულები შე-  
შინებული გასცემდენ, გამხეცებულ, ძაბრიან  
კუდში შეჭურვილ, ველურებს გაფართოებული  
თვალებით მიჩერებოდენ. აქვე ახალგაზდა თავქოჩ-  
რა გოგონებს საყვარელ როიალზე დასაკრავი ნოტე-  
ბი გულმკერდზე მიეკრათ, თავიანთ პაწია თითებით

გამხეცებულ რუსის ჯარისკაცებისაგან იცავდენ.

ჯარი შეესია სამხედრო საწყობებს, იქიდან ფარაჯები, ფეხსაცმელები გამოიტანეს, თავიანთ დაფლეთილ ფარაჯებს, დაგლეჯილ ფეხსაცმელებს ქუჩიში ხალხის წინ იხდიდენ, იქვე ყრიდენ, ახალით იმოსებოდენ. ოჯახებში მოთავსებული ჯარის კაცები შემის მაგიერ ბუხრებს მაგიდებით, კამოდებულთებით ანთებდენ. ევგენი გეგეჭკორის ბინა აეოხრებიათ.—ბურუუაზიულ, კონტრ-რევოლიუციონერ მინისტრის არისო. ზოგ ბინაზე კედლებიდან სურათები ჩამოელოთ, ჩუქურთმიანი ხის მოვარაყებული ჩარჩოები დაეწვათ, ხოლო ნოე უორდანიას სურათი ჩარჩოდან ამოელოთ, მაღლა ჭერზე ლურსმნით მიეჭედათ,—კარგი წვერიანი, კარგი სახის, «დიადია» არის, იყოსო,—ჩარჩო კი დაეწვათ.

ნაძალადევის მუშებს ხელისუფლებამ წინადადება მისცა: სოლოლაკში ბურუუების ბინაზე გადასახლდითო, მარა არც ერთი ოჯახი ამაზე არ დათანხმდა. კბილის ექიმების კაბინეტიდან მთელი მოწყობილობა გაქონდათ. საავათმყოფლებისა და კერძო სამკურნალოდან გაქონდათ ყოველგვარი ხელსაწყოები: სახირურგო დანები, წამლები, თეთრეული და დალოხებულ ექიმების წინ უწესრიგოთ საბარგო ავტომობილებში ყრიდენ, თფილისის საღვურზე მიაქროლებდენ და რუსეთში გზავნიდენ. თფილისის მდიდარ სააფთიაქო სახელმწიფო საწყობებიდან მიქონდათ ყუთებში ჩაწყობილი წამლები, ყოველგვარი აპარატები, საექიმო ხელსაწყოები, სკიპიტარი, სპირტი, ბამბა, მარლა, ქინაქინა... აფთიაქებში ექიმების გამოწერილი რეცეპტი გაუკეთებელი რჩებოდა უწამლობის გამო. ქინაქინის, თუ სხვა წამლეულის გადამალვისათვის იჭერდენ და ჩეკაში ამწყვევდენ. ჩვენი ლირსეული მწერალ-მოლვაწენი დლიანლამიანა მუზეუმ-წიგნთსაცავებს და უნივერსიტეტს იცავდენ; ლირსეული სამლენელოება მარგალიტებში შემკულ ხატებს კარი-ბჟეს ყარაულობდენ,—

რომ ისტორიული, ეროვნული, ძეგლებით — ძვირფასი განძი შემოსეულ ბარბაროსებისაგან გადაერჩინათ. ვითარცა ხვათაგი ყანაში, ისე შეიჭრა რუსის ბრძოები ბატანიკურ ბალში, ყვავილები დაგლიჯა, უცხო მცენარეები ძირიანა მოთხარა, ნაწი შტოები დაამსხვრია, კვიპაროს-იაგუნდის ძინთიანი კორხლებიანი ნაყოფი მოკრიფა, ვაშლივით ჭამა დაუწყო და როდესაც ემწარათ, პირიდან ყრიდენ, იფურთხებოდენ, ქართველებს აგინებდენ, — ეს რა რა ხეხილი დაურგავთო, — და გაჯავრებული მშვენიერ იაგუნდის შტოებს ამტვრევდენ, თვალის სატკენათ უცხო მცენარეთ ასახიჩრებდენ!..

გაძარცვეს და რუსეთში გაზიდეს თფილისის სამხედრო არსენალი, რკინის გზის სახელოსნო, მისი საუცხოვო სახარატო დაზგები, საგანგებო მატარებლები, ორთქლმავლები და საბარგო ვაგონები. თფილისის საუცხოვო ტრამვაის ვაგონები რუსეთში წაიღის. ტრამვაის სანიმუშოთ მოწყობილი სახელოსნოს ზოგი ნაწილებიც თან გააყოლეს. არ გადარჩა გაუქურდავი არც ერთი ქარხანა. სტამბებიდან გაიტაცეს აუარებელი საბეჭდავი ქალალი და მოსკოვში საჩქაროთ გადაგზავნეს თავიანთ გაზეთების და საპროპაგანდო ფურცლების საბეჭდათ. ქალაქის წყალსადენის მანქანები გაძარცვითა და მოუვლელობით გააოხრეს, ქალაქი უწყლოთ დატოვეს და მცხოვრებლები მტკვრიდან წყალს ვეთროებით ეზიდებოდენ, მთელი დღე და ღამე მთის კალთებში პატარა წყაროებთან რიგში იდგენ. ყოველგვარი სანოვავე, ხილეულობა, ყველი, თევზეულობა, ხიზილიალა, საუფლისწულო მამულების განთქმული სარდაფები და კახური ლვინო ბოჭკებით და ბოთლებით გაზიდეს, თფილისის სადგურზე გაიტანეს, რამდენიმე ასეულ ვაგონებში ჩაწყვეს, დაბეჭდეს, ზედ დააწერეს: «თფილისის პროლეტარიატისაგან რუსეთის პროლეტარიატს და მის ბელადს ლენინს საჩუქრათო» და საჩქაროთ მოსკოვს გაგზავნეს.

ამ დროს კი ქართველი მეცნიერი, პროფესორი,  
 მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე და ერის მარჩენა-  
 ლი ქართველი მუშა—მთელი მშრომელი ხალხი  
 თფილისის ქუჩებში გათენებიდან დალამებამდე ბა-  
 ზარზე დაეხეტებოდა,—ეგებ რაიმე სანოვაგე ვიშო-  
 ვო და მშიერი ბავშები გამოვკვებოვო. მთელი დღე  
 იდგენ რიგში კომპერატივის წინ, ნავთის, სიმინდის,  
 ლობიოს და პურისთვის, თოვლ-წვიმა-ქარიშხალში,  
 ნახევრათ ფეხშიშველ-ჩაგლეჯილნი. მრავალნი გა-  
 ციებულნი, ტიფ-სახადით უწამლოთ და უექიმოთ  
 ესალმებოდენ სიცოცხლეს. მეტათ გასაჭირი იყო  
 მტკვარზე გამართულ წისქვილებთან რიგში დგომა,  
 რამდენიმე კილო სიმინდის დაფქვა და მისი მიღება.  
 ვინ გინდათ აქ რომ არ შეგხვდებოდათ: აგერ დგას  
 ალვის ხესავით თვალტანადი, შესანიშნავი ვაჟკაცი,  
 თათრების შემოსევის დროს ბათუმში მებრძოლი  
 მხედარი—მუშთი დადიანი; პატარა ტომსიკა ტომა-  
 რით ჭადის ფქვილი უშოვია, ჩოხის კალთა ლამაზათ  
 გადაუკაპიწებია, იღიმება, მტკვრიდან ორი ვედრო  
 წყალი ამოულია, მთაწმინდაში ცოლშვილთან მი-  
 აქვს!.. აგერ ახოვანი ვაჟკაცი, გაშლილი სახით რიგ-  
 ში დგას დამფუძნებელი კრების წევრი ალექსანდრე  
 ლომთათიძე, ხელში პატარა ტომსიკით სიმინდი აქვს  
 დასაფქვავი. ის წინა რიგში მდგომებმა შენიშნეს,  
 იცნეს, დაფქვილი მისცეს, დასაფქვავზე გამოუცვა-  
 ლეს, საჩქაროთ გაისტუმრეს, რომ მშიერ ბავშებს,  
 მის მოალერსე მეულლეს საჭმელი მიაწოდოს. აგერ  
 მამადავითის მთის ძირში წყაროსთან რიგი დგას  
 დოქებით, ვედროებით, რომელთა შორის თქვენ ყუ-  
 რადლებას იპყრობს გძელ წაბლისფერ წვერიანი, ბე-  
 ჭებ განიერი დარბაისელი მოღვაწე. ეს გახლავთ ქუ-  
 თაისის ყოფილი ქალაქის თავი და შემდეგ საქართ-  
 ველოს რესპუბლიკის სენატორი—დიმიტრი კალან-  
 დარიშვილი. აგერ სოლოლაკში, მწერალთა კავში-  
 რის სასახლის წინ, თავშეურილა და რიგში ჩამდგა-  
 რა ქართველი ერის სულის სარკე, ჭირში და ლხინ-

ში ერის საღარაჯოზე მდგომი ქართველი მწერლობა, მორიდებულათ ერთმანეთს რიგს უთმობს, თვითეულ მათგანს ხელში პატარა კალათი თუ ნავთის ჭურჭელი უკავია. ისე დგანან, ვითარცა საყდრის კარებში მდგომი მლოცველები. აქ დგომით ბევრი გაცივდა, უწამლობით და მოუვლელობით დაიღუპა, მათ შორის ჩვენი ლეო ნათაძეც. დილა ადრიანათ ბაზარზე კალათებით ხელში მიიჩქარიან ქართველები, ეძებენ ცოლშვილის გამოსაკვებ სანოვაგეს; მათში შენიშნავთ ახოვან ვაჟკაცს—ნიკო თავდგირიძეს, გრიგოლ გიორგაძეს, გახუნებულ ანაფორაში მორიდებულათ და დარცხვენით მიმავალ ხუცესს ანტონ თოთიბაძეს და სხვებს.

საალდგომოთ ხელისუფლებამ «კანდიტერებს» პასექის გამოცხობის ნება დართო. დიდ შაბათს სალამოს საბარგო ავტომობილებით შეიარაღებულმა ძაბრიანმა ჯარის ყაჩალებმა მთელ თვითონის დაურეს, რაც გამომცხვარი პასკები, ტკბილეულობა, თეთრი პური, საალდგომო ბატკან-სანოვაგე იყო, დუქნებიდან ძალით უფასოთ გამოიტანეს, საბარგო ავტომობილით ყაზარმებში მიზიდეს, ჯარს დაურიგეს. როცა ერთი ნაწილი შეიარაღებული ყაჩალებისა სურსათ-სანოვაგეს, პასკას, შელებილ წითელ კვერცხებს აგროვებდა, მეორე ნაწილი ლვინის სარდაფებს ძარცვიდა, ლვინით სავსე ბოჭკებს საბარგო ავტომობილებით ყაზარმებში მიაქროლებდა. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ამათრახებდენ, მთელ ქონებას ართმევდენ. ამ ნიაღაგზე დაიღუპა კახელი მელვინე მირინაშვილი; იგი შეიპყრეს და სხვების შესაშინებლათ ჩეკაში დახვრიტეს. როგორც ლამით ოჯახში შემოჭრილ შეიარაღებულ ყაჩალებს, ქართველი ხალხი ისე შემკრთალი უყურებდა თვითონისის ამაოხრებელ ბრძოებს რუს წითელ არმიელებისა. ლრმა მოხუცებულები აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს იგონებდენ.

#### IV. პანაშვიდები.

ამ დროს რუსეთში გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მებრძოლი ანარხისტი კრაპოტკინი. ამ აღამიანს სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს ვარლამ ჩერქეზიშვილის და ილია ნაკაშიძის მეთაურობით; პანაშვიდს თფილისის მოწინავე საზოგადოება მრავლად დაესწრო, გრიბოედოვის ქუჩაზე მუსიკალურ დარბაზში. კრაპოტკინის მრავალფეროვან ცხოვრებაზე ვრცლათ ილაპარაკა ვარლამ ჩერქეზიშვილმა რუსულათ და როცა კრაპოტკინის იდეურ ანარხო-კომუნიზმს შეეხო, გარკვევით და ხაზგასმით აღნიშნა: ის, რაც დღეს რუსეთში და განსაკუთრებით თფილისში ხდება, ეს კომუნიზმი არ არის, კრაპოტკინის იდეასთან ამას საერთო არა აქვს რაო! ხალხი შემცირავი უყურებდა, ზალაში მყოფი ჩეკისტები გაკვირვებული შესცემეროდენ.

ჩვენი დროის რუსულ გაზეთის «ბარბა»-ს თანამშრომელმა რუსმა კრაპოტკინის დიდი ლირსება დაახასიათა, შეადარა ჩეხოვის იმ ბავშს, რომელმაც პირველათ ზლვა ნახა და როცა მას განცდა-შთაბეჭდილებაზე ეკითხებოდენ, იმეორებდა: «ზლვა, დიდი ზლვაო». როგორც დიდი ზლვა, ისეთი იყო კრაპოტკინიო! ილ. ნაკაშიძე შეეხო კრაპოტკინის ფილოსოფიას, მის სხვადასხვა დარგში მეცნიერულ მუშაობას, მის მაღალ ზნეობას, საერთოთ მორალს და აქ ზლვარი გაავლო კრაპოტკინსა და დღევანდელ მოსკოვურ კომუნიზმს შორის.

ილია ნაკაშიძემ მთხოვა მეთქვა ორიოდე სიტყვა კრაპოტკინზე, როგორც ჩემ პირად ნაცნობზე.

კრაპოტკინის მაღალი იდეალის, მისი კეთილშობილი ზრახვები და მისწრაფებანი მე შევადარე დღევანდელ ბოლშევიკების მოქმედებას, ფრთხილათ შევეხე კრაპოტკინს, პლეხანოვს და ნოე უორდანიას საკაცობრიო იდეალებს. ჩვენ, მუშებს და მშრომელ ხალხს საკაცობრიო ბეღნიერე-

ბა ასე არ გვესმოდა, დღეს რომ ვხედავთ მეთქი.

ეროვნული მთავრობის და ნოე უორდანიას და-  
ხასიათების დროს გაუბედავი, ყრუ ტაშის ცემა კან-  
ტი-კუნტათ გაისმა, რამაც დამსწრეთა თვალები სი-  
ხარულით გააბრწყინა, ჩეკისტები გააკვირვა.

დარბაზიდან გამოსვლის დროს, ჩეკისტები გულ-  
მოდგინეთ მათვალიერებდენ, თითო-ოროლა ჩვენი  
მოხუცი ყოფილი «ნაროლნიკები» მაგრა ხელს მართ-  
მევდენ, მკოცნიდენ, თვალებით მეაღერსებოდენ.

ეს იყო საჯაროთ პირველათ ბოლშევიკებზე შე-  
ხება, ეროვნულ მთავრობის და მისი ბელადის ნოე  
უორდანიას სახელის მტრის წინაშე გახსენება.

ქართველებს სხვა მრავალ კარგ ჩვეულებებთან  
ერთად აქვს ერთი მეტათ კარგი ადათი, რომელიც  
ადამიანობის უმაღლეს თვისებების გამომხატველია,  
მწუხარებაში ყოფნის დროს მისი სულის ტანჯვის  
შემსუბუქებელია. ეს გახლავთ უსაყვარლეს ადამია-  
ნის გარდაცვალების «სულის ახსნა», როგორც ჩვენ-  
ში უწოდებენ, ანუ ორმოცი დღის თავი. თუ ამ წესს  
ოჯახი თავის ერთი წევრის დაკარგვის გამო ასრუ-  
ლებს, რა გასაკვირია მთელი ოჯახის ქართველი  
ერის სასიქაღულო შვილების დალუპვის ორმოცი  
დღის თავვ? მთელი თფილისის ქართველობა კო-  
ჯორ-ტაბახმელაზე მტრის მიერ გულ გაგმირულ სა-  
სახელო შვილების სასაფლაოზე შეიკრიბა. ფართე,  
ღიდების ტაძრის გალავინი სასახლის წინ შავი ძა-  
ძებით მოსილი ქართველებით გაივსო, ჩვენი საამაყო  
დედები ნალვლიანათ გამოიყურებოდენ, მათ თვა-  
ლებში ცრემლი ბრწყინავდა. ზღვა ხალხი ყვავილე-  
ბით დაფენილ და თაიგულებით შემკულ სასაფლაოს  
შემოდგომოდა. მიცვალებულების სასთუმლებთან  
ანთებული წმიდა სანთლები ბრწყინავდა. ციმციმე-  
ბდა, იწოდა, ღნებოდა, წვეთებათ მიცვალებულთა  
გულ-მკერდზე იღვენთებოდა! ყვავილებით აფერა-  
დებულ საფლავებს მზის სხივები ოქროს ლარებათ  
ეფრქვეოდა, საფლავებში ეშვებოდა! განსვენებულ

ახალგაზდა მებრძოლების სულის გასახარებლათ, მაყურებლების თვალის საამებლათ ყვავილებში აქა-იქ ჩართული ეროვნული, სამთეროვანი პატია დროშები, პატარა ხის ტარზე მიმაგრებულნი, ნიავზე ფრიალებდენ, მზის სხივზე მათი შვინდის ფერი შვენოდა! ამ თვალწარმტაც სანახაობას თავზე აღგაშემოსილი სამლენელოება კათალიკოს ლეონიდეს მეთაურობით კვერთხით ხელში, რომელიც მამული-სათვის თავდადებულ გმირებისათვის ლოცულობდა. სულისა და გულის დამატებობელი გალობა მსმენელს სასოებას გვრიდა, ჭირისუფლები, განაწამები ერი იოხებდა, მკვდრეთით დგებოდა—კვლავ სასიცოცხლოთ ემზადებოდა.

გათავდა ლოცვა, ლეონიდემ ქებით მოიხსენია მამულისათვის თავდადებული გმირები, ჭირისუფალნი და ერი გაამხნევა. ჰაერში გაისმა, «დიდება და ნეტარხსენების» გალობა, მანდილოსნები, ჭირისუფლები საფლავებზე დაეშვენ, ვაუკაცებმა მუხლი მოიყარეს, მშობლებმა ცხარე ცრემლით ყვავილებით დაფენილი საფლავები დაასველეს, კვნესა ტირილში შემოსეულ მტრების, ქართველ მოლალატეების და ჩეკისტების მისამართით წყევლა-კრულვა იგზავნებოდა. საფლავზე გართხმულ გულშეწუხებულ დედებს, დებს მეგობრები თავს ევლებოდენ, სულის მოსაბრუნებლათ წრიდან გაყავდათ.

შემოსილი სამლენელოება და მგლოვიარე ქართველობა თაიგულებით მორთულ სასაფლაოს თავს აღგა, გაბრწყინებულ კელაპტრებსა და ყვავილებში აფრიალებულ პატარა, სამთეროვან ეროვნულ დროშებს თვალცრემლიანი მისჩერებოდა, რომ წრილან გამოვიდა ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზდა პოეტი მცედლიშვილი, დროშის ჭირდაპირ საფლავთან ქუდმოხდილი გაჩერდა, სულისა და გულის დამალონებელი ლექსით კოჯორ-ტაბახმელის გმირები შეაქო, გამამხნევებელი სიტყვით ქართველ ერს მიმართა და სწრაფად ხალხში მიიმალა.

ჩეკისტები მდგომარეობაში ვერ გარკვეულიყენ, იქვე სასახლიდან მოყურადებულ ხელისუფლებას-თან გარბოდენ განკარგულების მისაღებათ, რომ მე ჩემდა უნებურათ ხელიდან ქუდი გამვარდა, წრიდან გამოვედი, ეროვნულ დროშით და სანთლებით გაბრწყინებულ ძვირფას საფლავებს თავს დავადეჭი, ზღვა ხალხში ძველებურათ აღმოვიმართე, მაღალი, გარკვეული ხმით საყვარელ, სასახელო გმირებს და ქართველ ერს მივმართე!.. ამ გმირებმა ნამუსი აღვიდგინა, წელზე შეხსნილი ხმალი კვლავ შეგვარტყა. ეს პაწია ეროვნული დროშები აქ კი არა, აი იქ, სასახლის თავზე უნდა ფრიალებდეს, იქ ჩვენი ეროვნული მთავრობა და ერის საყვარელი ბელადი ნოე უორდანია უნდა განაგებდენ და არა სამშობლოს მოლალატე იუდები,—რაც ძალი და ლონე მქონდა გავიძახოდი...

ეს ჩემი პირველი გაბედული სიტყვა იყო დაპყრობის შემდეგ საჯაროთ წარმოთქმული, რასაც ზღვასავით აზვირთებული ხალხი ტაშისცემით, გაუმარჯოს საქართველოს ძახილით შეხვდა. თვალ გაბრწყინებული მომჩერებოდა ლეონიდე, კვერთხით ხელში მამხნევებდა...

მე ხალხში გავერიე, რომ ჩეკისტებმა პოეტი მჟედლიშვილი გაქაჩეს. ძვირფას საფლავებს ახლა დამფუძნებელი კრების წევრი სამსონ დადიანი დასდგომოდა თავს და ხმამალლა სიტყვას ამბობდა; ჩეკისტებმა მასაც სტაცეს ხელი; ხალხი დაიძრა, იქუსა, მანდილოსნები ფრჩხილებით მიცვინდენ ჩეკისტებს, შეიქნა ხელჩართული ბლლვნა... ძლიერმა რაზმა მჟედლიშვილ-დადიანი ჩეკისკენ გააქანეს, წყევლა-კრულვით აღშფოთებული ხალხი მიყვებოდა, «იუდებო»-ვო მისძახოდა.

ჩემსკენ წამოსულ ჩეკისტებს ხალხი გადაელობა, მე დაკოტავებული ვემუქრებოდი. ჩეკისტებმა წრე ვერ გაარღვიეს; ხალხის ტალლამ გამიტაცა, ეკლესიის გალავნიდან გამიყვანა, ჩეკის კლანჭებიდან მიხსნა და თფილისის ქუჩებს მშვიდობიანათ მიმაბარა.

ჩვენ ძვირფას სასაფლაოსთან დაიწყო პირველი დემონსტრაციული შეტაკება ჩეკისტებთან ორმოცი დღის თავზე გადახდილ პანაშვიდის დროს.

ამავე ხანებში გარდაიცვალა კათალიკოსი ლეონიდე, რომელიც დაკრძალეს სიონის ტაძარში. მისი წესის აგებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, ქართველმა მოლვაწეებმა სიტყვები უთხრეს, დაახასიათეს განსვენებულის ლვაწლი ეკლესიისა და ერის წინაშე. ლეონიდე აღზრდილი იყო მისი ბიძის ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსთან ერთად სასულიერო და საერო ასპარეზზე ბრწყინავდა, სამშობლოს გადაგვარებისაგან იცავდა... ამ ორ შესანიშნავ ეპისკოპოსებს მხარში ამოუღა ლეონიდე, რომელმაც ეკლესიისა და ერის საკეთილდღეოდ ნაცადი გზა განაგრძო, კრწანისის ველზე ასი წლის თავზე დიადი ეროვნული პანაშვიდი გადაიხადა, ოცი წლის შემდეგ განთავისუფლებულ, მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს მთელი სამღვდელო კრებულით მიეგება, სამშვიდობო პარაკლისი გადაუხადა, დიდება და მრავალუამიერი უგალობა. შემდეგ სასახლის წინ, დიდების ეკლესიის გალავანში შეკრებილ ქართველობას და მის ეროვნულ მთავრობას მიესალმა. ბრწყინვალე დღეები უსურვა. ამ დროს შვიდ ფეროვან ცისარტყელიასავით ფართე გვირგვინი მზეს რკალათ შემოვლებოდა, საკვირველ სანახაობით თფილისს დიადათ თავს დადგომდა!.. ლეონიდემ ამ ბუნების საკვირველ მოვლენაზე მიუთითა, სიხარულისაგან სახე გაბრწყინებულ ქართველების ყურადღება ზეცისკენ მიაპყრო, სულისა და გულის დამატებობელი სიტყვით ბუნების საკვირველება და ერის მარადიულობა შეამკო.. შემდეგ ამავე ლეონიდემ ამავე ტაძრის გალავანში ერის დამცველი მებრძოლნი ლირსებით მოიხსენია, მტრის წინააღმდეგ გაბედული სიტყვა წარმოსთქვა.. და მაღლიერმა ერმა მას იგივე მიუზღო... სამუდამოდ სიონის ტაძარში მოასვენა.

## V. მუშათა კლასის სმა.

იმ დროს, როდესაც ქართველი საზოგადოება ზღვასავით დელავდა, პარტიები, ჯგუფები და პიროვნებები ერთ აზრს ვერ დადგომოდენ. შექმნილ რთულ პირობების გამოსავალი გზა ვერ ეპოვათ, თვით ხელისუფლებაც ყოყმანობდა, მტერი და მოყვარე ერთმანეთს ზვერავდა, როცა ყოველივე ქალსათ ქცეულიყო, ამ დროს, თფილისის დაპყრობის თვენახევრის თავზე, მუშათა კლასი კვლავინდებურათ ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდა, თავის არსებობა და ზრახვანი ხმამალლა განაცხადა.

მშრომელმა საქართველომ და მისმა მეთაურმა სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა ქართულ ეროვნულ ცხოვრებაში, მთელ კავკასიაში და რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას თავის კვალი დააჩინა. რომელმაც ჩვენი გამანთავისუფლებელი ბრძოლა უმთავრესად თავის ბეჭებზე გადაიტანა, თავის მაღლიანი მარჯვენით ქვეყნის ალორძინებას შეუდგა, ეს მშრომელი ხალხი თფილისში, საოპერო თეატრში რუსთაველის გამზირზე დაპყრობის შემდეგ პირველათ შეიკრიბა, შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა, მტრისა და მოყვრის გასაგონათ თავისი აზრი წარმოსთქვა, გარკვეული პოლიტიკური ხაზი აიღო, პოზიცია დაიკავა. ეს ისტორიული დოკუმენტი ქვაკუთხედია მომავალი მოძრაობის, ბრძოლის. ამ პოზიციაზე მტკიცეთ დგომა და მისი ცხოვრებაში სისწორით გატარება ნიშნავს მშრომელი ერის გადარჩენას, სხვა გზა დღევანდელ რთულ პირობებში ისტორიას არ მოუკია... ამ შესანიშნავ, ვრცელ რეზოლიუციაში სხვათა შორის ვკითხულობთ:

ა) რომ საქართველოს რევკომი სდგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და რომ მისი პოლიტიკა იქნება მიმართული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისაკენ;

ბ) რომ ის საჩქაროთ შექმნის საქართველოს წითელ არმიას, რომელიც იქნება ერთად-ერთი სამხედრო ძალა რესპუბლიკაში;

გ) რომ ის საქართველოში უახლოეს მომავალში მისცემს მშრომელ მასსას თავისუფალ არჩევნების უფლებას და რომ ჩვენში საბჭოთა წყობილების განხორციელებას საბჭოთა აღმშენებლობას შეუფარდებს ადგილობრივ პირობებს და ჩვენი ქვეყნის თავისებურობას;

ვ) რომ საქართველოში მოქმედ სოციალისტურ პარტიებს, რამდენათაც ისინი აქტიურად არ ეომებიან არსებულ წესწყობილებას, შეძლება ექნებათ ლეგალურად იმოქმედონ...

შემდეგ მრავალი მუხლისა რეზოლუცია განაცრდობს:

საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დღესაც მიაჩნია თავის მოლვაწეობის ერთად-ერთ საფუძვლად. მისი მუშაბა წინანდებურათ მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის გამაგრებისაკენ.

ეს რეზოლუცია შვიდი მუხლისაგან შესდგება და შეიცავს მრავალ განმარტებებს. თავდება ასე:

«ეს რეზოლუცია ათ აპრილს, 1921 წელს, სახელმწიფო თეატრში მომხდარ პარტიულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო 3.000-მდე პარტიის წევრი, მიღებულ იქმნა ერთხმად».

რეზოლუციას ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე ვ. ჯიბლაძე, თავმჯდომარის ამხანაგი ვ. ნოღია და მდივანი შ. აბდუშელიშვილი.

აი მუშათა კლასის სამოქმედო პროგრამა და ფუძე, რომელზედაც ის ეყრდნობა.

ამის შემდეგ ხელისუფლება არამც თუ ქმნის ქართულ წითელ ლაშქარს, არამედ საჩქაროდ აუქმებს საქართველოს მხედრობას...

მუშათა ორგანიზაციებს არც ბეჭდვითი, არც კრების საშუალებას არ აძლევს...

## VI. სტალინისა და თფილისის შემების შესვედრა.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ სტალინი პირველად ესტუმრა თფილის და ისურვა თფილისის მუშებთან საუბარი. ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის მუშათა სასახლეში მთელი რევოლუციონური მუშათა კლასი შეიკრიბა. დარბაზში ტევა არ იყო, უზო მშრომელი ხალხით აივსო. ჩეკისტები და გადაცმული ჯაშუშები ზღვა ხალხში დაძრობოდენ, მრისხანე მუშების სახეს შემკრთალი, შეპარვით აკვირდებოდენ. აქ მშრომელი ხალხი თავის ცოლშვილით, მთელი ოჯახით, მოსულიყო; ამათში ბევრი იყო ლრმა მოხუცებული მუშები, რომელთაც თმა, წვერ-ულვაში თოვლივით გათეთრებოდათ შრომაში, მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, ციხე-ციმბირ-კატორლაში. მათ გვერდს უმშვენებდათ ჭირში და ლხინში სულიერი მეგობრები—მეულე მანდილოსნები, რომელნიც დალარული სახით, ჭკვიანი თვალებით მათ დაზრდილ მებრძოლ თაობას ალერსით მისჩერებოდენ, შესტრფოდენ და შეხაროდენ... აქ ყველა მათი ნაცნობი იყო, მშრომელი ოჯახის წევრები. ეს მოხუცი აღამიანები მთელ ამ ზღვა ხალხს იცნობდენ, ყველანი ხორციელი და სულიერი ნათესავებია ერთმანეთისაღმი, აქ არავითარ პირმოთნეობას აღვილი არ აქვს,—მთელი არსებით, გაშლილი გულით ერთმანეთი უყვართ. რკინა-ფოლადის დამდნობი მუშების შვილებია, უსამართლობასთან ბრძოლაში, ციხე-ციმბირში, რევოლუციის ქარცეცხლში გამოწრობილ-გამობრძმედილია.

ნაძალადევი ის აღვილია, საღაც უსამართლობის მოსასპობათ, მეფის თვითმპყრობელობის ტახტის დასამსხვრევათ, ბრძოლის ხმა სჭექდა, ქუხდა, რევოლიუციონური ცეცხლი გუჩგუჩებდა... ეს ის აღვილია, საღ აღიმართა პირველად დროშა უკვდავი დიადი, გააცისკროვნა კავკასი და შორს გაფანტაწყვდიადი... და აქ მოელიან რუსეთის დიქტატორს—

სტალინს. მას აქ ხვდებიან ფოლადისებური გულ-მკერდიანი და რკინის ნერვებიანი ათეული წლების განმავლობაში თავისუფლებისათვის მებრძოლი სახელოვანი ვაჟკაცნი, რევოლიუციის მესაჭე თფილისის მუშები! აქვე არიან მათი აღმზრდელი, მათსავით მეფესთან ბრძოლაში, ციხე ციმბირში გაჭალარებული მეთაურები, მუშებთან ვითარცა რკინა-ფოლადი შედულებულ-შეწრთობილები.

კრება გაიხსნა. სცენის კუნცულები ჩეკისტებმა და საეჭვო პირებმა დაიკავეს. თავისუფლებას მიჩვეული რევოლიუციონერები შეინძრა, დარბაზი შეირყა. მებრძოლი მუშები თვალთაგან ცეცხლს აკვესებენ!..

ნელის ნაბიჯით, მელურის შეპარვით სცენაზე სტალინი, თფილისის მუშების კარგანაცნობი სოსო ჯულაშვილი—«კობა» შემოიპარა, ფარდებიდან გამოძვრა... მთელი დარბაზი სამარისებური სიჩუმით, კრიჭა შეკრული, ზიზლით შეხვდა, მხოლოდ ჩეკისტებ-ჯაშუშების და თითო-ოროლა თანამგრძნობთა ნაძალადევი ტაშის ცემა გაისმა. რომლის პასუხად მოხუცი დედები გაიძახოდენ: «წყეული, შეჩვენებული, მელაკუდა!..

სტალინი აქ არ გავს მალალი, საკაცობრიო იდელით გატაცებულ მებრძოლს, გაშლილი სახით, გაბრწყინებული თვალებით რომ გამოიყურება... სოსო ნაძალადევათ იღიმება, გაუბედავათ ლაპარაკობს, მობოდიშებული კილო აქვს. ნახევრათ თვალ-დაჭუტული შეპარვით, თფილისის რევოლიუციონურ მუშებს ათვალიერებს... აქ მას ყველა იცნობს, მათ ოჯახებში იმაღებოდა, ნაპურმარილევია; რამდენ დედას მისთვის საჭმელი უჭმევია, დაუმალავს, პატივი უცია, შვილივით მიულია... დღეს კი თავისუფლება მოუსპო, სიცოცხლე გაუმწარა, ხვალ კიდევ უარესს მოელის... .

მიუხედავათ ფრთხილი და მორიდებული მოხსენებისა, სტალინს სიტყვას აწყვეტინებენ, შეკით-

ხვას შეკითხვაზე აძლევენ, «თავისუფლებისა და სოციალიზმის სახელით ლაპარაკს როგორ ბეჭავ, რუსეთი ხომ არ გვინია, აქ თფილისის რევოლუციონურ მუშებთან გაქვს საქმეო» ყოველ მხრიდან უყვირიან, ლელავენ, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევენ, განრისხებული მუშების მოღერილ მუშტებით შემკრთალი ჩეკისტებ-ჯაშუშები საგონებელში ჩავარდნილან, რაღაც ბრძანებას ელიან, მარა სტალინი მომტკბარი ლაპარაკობს; ვითომ შეურაცხოფას არ გრძნობს, თავს იკატუნებს, ის გაბედული რაინდი არ არის, მოთმინება იცის, შურის საძიებლათ სხვა დროს უცდის...

ხალხი სიტყვას თხულობს, სცენაზე მთელი თაობის ალმწრდელი, ჭალარა რევოლუციონერი ისიდორე რამიშვილი გამოჩნდა, მთელი დარბაზი ზეზე წამოიჭრა, ტაშის ცემა, ყიუინა. «გაუმარჯოს ჩვენს მამას, ჩვენს საყვარელ ისიდორეს». ღ... დაუსრულებელი ოვაცია გაიმართა. სტალინი მოკუნტული შეყურებდა, ტუჩებს იკვნეტდა, ნაძალადევი, იუდასებური ლიმილით შეყურებდა სახე გაბრწყინებულ ისიდორე რამიშვილს, რომელიც რევოლუციონურ თფილისის მუშების წინ, ვითარცა ქრისტე, ნათობდა.

საქართველოს მთავრობის, თუ ნოე უორდანიას ხსენებას ხალხი ტაშისცემით ეგებებოდა...

ისიდორე რამიშვილი სცენაზე შესცვალა მის მომყოლმა მებრძოლმა ალექსანდრე დგებუაძემ, რომელსაც აზლვავებული ხალხი ალფროვანებული და ტაშისცემით შეხვდა. ალექსანდრემ თავისებური პირდაპირი, გულწრფელი სიტყვებით მიმართა სტალინს და გაბედულად დაუსვა კითხვა: «რატომ და ანგრიე საქართველო? სამაგიეროდ რა მოუტანე მას?.

ბევრი მწარე, გულმოსაკლავი კითხვები დაუყენა, პირში ენა ჩაუგდო სტალინს.

მან რაღაც ლულლული დაიწყო. ხალხმა ლაპარაკი არ დაანება... დარბაზი ქუხდა, ლელავდა, პრო-

ტესტებში ლანდლვა-კრულვა ისმოდა, ყოველივე აირია—კრება მისით დაიხურა. სტალინი ჩეკისტებმა გააპარეს; ისიდორე-ალექსანდრე ალტაცებულმა ხალხმა ხელით დარბაზიდან გამოიყვანა, ყიუინით და «გაუმარჯოს საქართველოს» ძახილით ნაძალადევის უბანი გაატარეს...

ასე შეხვდენ თფილისის მუშები სტალინს...

მეორე დღეს შურისძიებით შეპყრობილი, ლვარძლიანი სტალინი სასახლეში თავის ხელქვეითებს ეუბნებოდა: «თფილის ოქტომბრის რევოლიუციის უთო უნდა გადაესოს» და მაშინვე მის სისრულეში მოყვანას შეუდგენ...

### VII. დატუსადგებები და რეპრესიები.

მოულოდნელათ ძველი მუშები დაატუსალეს, მეფის რუსეთის წინააღმდეგ სახელოვანი მებრძოლნი ჩეკის სარდაფებში ჩაყარეს, პოლიტიკური მოლვაწეებით მეტეხი და საგუბერნიო ციხე აავსეს...

თავისუფლებისა და ერის დამცველი გვარდიელები, ქართველი ოფიცრობა, ლირსებული მამულიშვილები. მწერლობა—ყოველივე ქართველი და ქართული საქმე. ეჭვის ქვეშ დააყენეს, ჯაშუშები მიუჩინეს... სამსახურში, დაწესებულებებში, რკინის გზებზე, დეპო-სახელოსნოში—ყოველგან და თვით საკუთარ ოჯახშიც ქართველი დევნილი შეიქნა, უცხოელები გააბატონეს...

ციხე-ჩეკის სარდაფებში სივიწრვე-სიბინძურისა და ცუდი კვებისაგან ტუსალები ავათ ხდებოდენ, გადამდები სენი ტყვეებს მუსრს ავლებდა, ტიფით ავათმყოფებს მოუვლელობით, უწამლობით სული ხდებოდათ; საგუბერნიო ციხეში ანთება-სიცხისაგან ნახევრად შეშლილებს ციხის ფანჯრის რკინის მესრებზე აბამდენ, საშინელ ტანჯვაში სულს ართმევდენ...

მთელი ლამის განმავლობაში ჩეკის სარდაფებიდან, ციხეებიდან ტუსალები გაყავდათ, ხელებ გაკ-

რულებს საბარგო ავტომობილებზე ყრიდენ ცხენო-  
 სანი რაზმით ალყა შემორტყმულებს ორათაჭალისა  
 და საბურთალოს მინდვრებზე ხოცავდენ, ცოცხალ-  
 მკვდარ დაჭრილებს ერთად მარხავდენ... სხვათა მრა-  
 ვალთა შორის ასე გაიტაცეს საგუბერნიო ციხიდან  
 გვარდიის გენერალი მარკოზაშვილი, საგანგებო რა-  
 ზმის წევრები და დახვრიტეს განუსჯელად და გაუ-  
 სამართლებლად.

მეტების ციხეში ტიფით დაიღუპა ძველი რევო-  
 ლიუციონერი, კატორლაში ნამყოფი სეითა რაზმადე.  
 მეტების ციხეში მძიმე ავად გახდა საქართველოს  
 სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე, რომელიც  
 არავითარი საშუალებით და თხოვნით არ გადაიყვა-  
 ნეს ქალაქის საავათმყოფოში, სანამ გრძნობა არ და-  
 კარგა და მორჩენის იმედი არ გაქრა. პარმენი გარ-  
 დაიცვალა მის მეგობრების მკლავზე. ინტერ-პარტი-  
 ულათ შედგენილ კომისიას ხელისუფლებამ ნება  
 დართო სამხედრო მინისტრი დაესაფლავებიათ დი-  
 დების ტაძარში «იუნკრებთან», მარა დანიშნულ  
 დღეს როცა სამარხი გათხრილი იყო, დემონსტრა-  
 ციის შიშით ჩეკამ ნება არ მისცა აქ დამარხვის, სა-  
 მარე ამოასწორა, ტაძრის გალავანი—დაკეტა, მცვე-  
 ლები დააყენა, მტკვრის ხილები ტყვიისმფრქვევე-  
 ლებით შეკრა, სასახლეზე მიმავალი ქუჩები შეიარა-  
 ლებული ჯარით და ჩეკისტებით გაკრა... დილას  
 მთელი თფილისის მცხოვრებნი საავათმყოფოს მო-  
 აწყდა, ვარანცოვის ხილის მიღამოები, პლეხანოვის  
 ქუჩა მოზღვავებული ხალხით გაიჭედა... საყვარელი  
 ცოლშვილი და მეგობრები ცხელი ცრემლით იდუ-  
 ლრებოდენ... მთელი თფილისი შავათ მოსილი აქ შე-  
 კრებილიყო; გუშინ შეიარალებული მხედრობა დღეს  
 მტრის მიერ წელზე ხმალ შეხსნილი, თვალთაგან  
 ცეცხლს აფრქვევდა. მოუთმენლად მათი მინისტრის  
 გამოსვენებას ელოდა... განრისხებული გულმოკ-  
 ლული მუშები მის საყვარელ ცედრის გასვენებას  
 სასახლისაკენ, დიდების ტაძრისაკენ მოითხოვდენ,

ჯარის ოკალის გასარღვევათ მიიწევდენ, იმუქრებო-  
 დენ... ჩეკამ თვით მოინდომა მიცვალებულის გასვე-  
 ნება, თუ მათ განკარგულებას არ დაემორჩილებო-  
 დენ... გულმოკლულმა პარმენის მეულლებ თავის  
 საყვარელი ქმრის წასვენება ქუთაისში სცადა. ჩეკას  
 გზებზე დემონსტრაციების ეშინოდა, ნება არ დარ-  
 თო... მოთმინებიდან გამოსული მუშები ლელავდენ,  
 ჯარის გარღვევას ლამობდენ. მარა პასუხის მგებე-  
 ლმა კომისიამ მინისტრის ცხედარი მიხაილოვის  
 სავათმყოფოს პატარა ეკლესიის ეზოდან გამოასვე-  
 ნა, დიდუბის ქართველთა პანთეონში დაკრძალვა  
 გადასწყვიტა—სისხლის ლვრა გამწარებულ ხალხს  
 თავიდან ააცდინა...

დიდის მლელვარებით კუბო გამოასვენეს; ცხე-  
 ნოსანმა ჯარმა დიდუბისკენ მიმავალი პლეხანოვის  
 ქუჩა გაკრა, პროცესია ელისაბედის ქუჩით დიდუ-  
 ბისკენ გაემართა. პროცესიას წინ შავი დროშა მიუ-  
 ძლოდა. მას მიყობოდა მგალობელთა გუნდი, რომ-  
 ლის კახური კილოთ ნათქვამი ნალვლიანი გალობა  
 ჰაერში გაისმოდა, დამწუხრებულ ერის გულს სევ-  
 დას უორკეცებდა... მგალობელთა გუნდს მიყვებო-  
 და ასამდე შემოსილი სამლელელოება სახელოვან  
 კათალიკოსის მისი მაღალ-კურთხევა ამბროსის მე-  
 თაურობით, რომელიც კვერთხით ხელში, თავის თე-  
 თრი წვერით, გაშლილი სახით და მნათობი თვალე-  
 ბით მეტათ შვენოდა... ამათ მიყვებოდა შავი ძაძით  
 მოსილი ქართველი მწუხარე დედა, რომელსაც ეკ-  
 ლის დიდი მრგვალი გვირგვინი მიქონდა; შემდეგ  
 მიღიოდა შავ ქულაჯაში გამოწყობილი შავ ულვაშ  
 გადაგრეხილი დარბაისელი ქართლელი, რომელსაც  
 ლურჯ ხავერდის ბალიშხე საუცხოვო ხელოვნებით,  
 ცოცხალი ყვავილებით ახატულ-აქარგული საქარ-  
 თველოს ეროვნული ლერბი მიქონდა!.. შემდეგ თავ-  
 ქოჩორა გოგონები, რომელთაც კუბოს წინ ყვავილ-  
 თა კონა-გრეხილების წრე ქონდათ გავლებული. კუ-  
 ბოს მიასვენებდენ ხელით მე ბრძოლი სამხედრო პი-

რები. მეგობრებს მოყავდათ თმა გაწეწილი, სიმწა-  
 რისაგან სრულიად ცრემლ გამშრალი პარმენის სა-  
 ყვარელი, გულმოკლული მეულლე გრუნია და მწუ-  
 ხარებისაგან დაძმარებული მთელი სახელოვან თაო-  
 ბის აღმზრდელი და საყვარელ მამასავით მოჭირნა-  
 ხულე სილიბისტრო ჯიბლაძე... კუბოს გარშემო  
 მკლავებ-გადაჭრობილნი იყვენ და წრე ქონდათ გა-  
 კრული რამდენიმე ათასს თფილისის დეპო-სახე-  
 ლოსნოს მუშებს, რომელთაც გარს აზლვავებული  
 ხალხი აცრემლებული და დალონებული მოყვე-  
 ბოდა...

იშვიათი სანახაობის პროცესია დიდების კარი-  
 ბჭეს მიადგა, საღაც შეიარაღებული ჯარი და ჩეკი-  
 სტები შემოეგება, ხალხის უკან დაწევა მოითხოვა,  
 კუბოს აკლდა მისკენ წალება მათმა მეთაურმა  
 ბრძანა!

ზლვა ხალხი აზვირთებულ ტალღებსავით შეიძ-  
 რა, შეტორტმანდა, მათი ფოლადის გულმკერდიდან  
 ულკანივით მრისხანე ხმამ ამოხეთქა, ჰაერში გრგვი-  
 ნვა გაისმა, თვალთაგან ელვა გამოკრთა, კუბოს გა-  
 რშემო ფოლადისებური რკალი შეიკრა, კათალიკო-  
 სმა კვერთხი ხელში შეანჯლრია, ამოღებულ ხმალი-  
 ვით ქრისტეს ჯვარი მოიმარჯვა, მიწაზე დასვენებულ  
 ცხედარს თავზე დაადგა, ჯვარი გადასახა, წესი აუგო,  
 მგალობლებმა სულისა და გულის მომჯადოებელი  
 სულთათანა უგალობენ და... კათალიკოსმა გარკვეუ-  
 ლი ხმით საქართველოს სამხედრო მინისტრს, მეტე-  
 ხის ციხეში მტრის მიერ წამებულს და დალუპულს  
 შესაფერი სიტყვა უთხრა, ტანჯული სამშობლო  
 ლირსებით მოიხსენია... ზლვა ხალხი სმენად იყო გა-  
 დაქცეული და გაელვარებული თვალებით, ტაძრის  
 წინ ქვაფენილზე მდგომ შეშინებულ და ფერმიმკრ-  
 თალ ჩეკისტებს განრისხებული სახით მისჩერე-  
 ბოდა.

როცა კათალიკოსმა სიტყვა დაასრულა და გან-  
 სვენებულის ცხედარს ჯვარი გადასწერა, ჩეკისტები

კვლავ შეინძრენ, კუბოს აკლდამისკენ წასალებათ ბრძანება გასცეს, მარა სწორეთ ამ დროს საიდანლაც წრეში მაგიდა ჩამოდგეს. ჩეკისტების თვალის წინ ამ მაგიდაზე ავიმართე და საქართველოს სამხედრო მინისტრს ერისა და პარტიის სახელით შესაფერი სიტყვა ვუთხარი; დამწუხრებული ხალხი და გაოცებული ჩეკისტები გაკვირებული მომჩერებოდენ, ნახევარი საათის განმავლობაში სულგანაბული მისმენდენ... დასასრულ დიდუბის პანთეონში საქართველოს სამხედრო მინისტრი მოასვენეს და ხალხიც შვიდობიანათ დაიშალა...

ქართველ ხალხს სხვა საშუალება არ ქონდა და როცა ლირსეული ერის შვილი გარდაიცვლებოდა, ან მტრის მიერ ნაწამები ციხეში, ან ჩეკის სარდაფუში სულს განუტევებდა, ძადებით შემოსილი ერი მის დასაფლავების ირგვლივ ირაზმებოდა, თავის გულს იოხებდა, მტერს პროტესტს უცხადებდა... თუ წინეთ თეატრებსა და სინემა-კლუბებში დაიარებოდა, ეხლა ყოველ შემთხვევის გამო საყდარში მიღიოდა; აქ ხალხით გაჭედილ ტაძარში ლირსეული მამები დროის შესაფერად ქადაგებდენ, ტანჯვაში მყოფ ერს სულიერად ამხნევებდენ... ასე მრავლათ ესწრებოდა ხალხი ციხეებში და გარეთ გაჭივრებაში უდროოდ დალუპულ თავისუფლებისათვის ძველ მებრძოლთა გასვენებას. ალსანიშნავია დასაფლავება მარიამ ბერიანიძის, სამსონ კილაძის, ლეო ნათაძის, რომელთა ცხელრები ხალხმა გვირგვინებით შეამკოდა მიუხედავად სასტიკი ზომებისა, შესაფერი სიტყვები უთხრა, კომუნისტურ-ოკუპანტური ხელისუფლება და მათი რეჟიმი საქვეყნოთ დაგმო...

ქართლ-კახეთის მცხოვრებლები თფილისელებს სანოვაგით—პურით, საკლავით—ეხმარებოდენ, საერთო ძალით მეტეხის, საგუბერნიო ციხის და ჩეკის სარდაფებში გამომწყვდეულ შვილებს კვებავდენ; ჭირში გაერთიანებული ქართველები ძმურ მზრუნველობას ტუსალებს არ აკლებდენ. გასაოცარი სიმ-

ხნით, თავგამოდებით, ჩვენი მანდილოსნები სანოვა-გით ხელში ჩეკა-ციხის კარებზე ათენ-ალამებდენ, თვით მშივრები უკანასკნელ ლუკმას ტყვეებს აწვდიდენ. გარეთ უპატრონოთ დარჩენილ ავათმყოფებს, ქვრივ-ობლებს უვლიდენ... ყველა პარტიები, ყველა ჯგუფები, პიროვნებები იმის ცდაში იყვენ, რომ სასიცოცხლო ეროვნული ძალა მტრისაგან გადაერჩინათ...

მტრის ჯარი კი საქართველოს ყოველ კუთხეს ძალუავდა და სოფლებს აწიონკებდა, აქა-იქ შეტა-კებაც ხდებოდა. მთელ მხარეს მლელვარება ედებოდა...

ჩეკამ ქუთაისში პროვოკაცია მოაწყო—ბომბი ისროლა, ბრალი ქართველ რევოლიუციონერებს დასდო; რამდენიმე პიროვნება შეიპყრო, ცნობილი პოლკოვნიკი ლეკვინაძე და რამდენიმე უდანაშაულო ადამიანი დახვრიტა...

გურიის სოფლებში ძალუა-გლეჯის დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის შეიპყრეს და დახვრიტეს მამა-შვილი გეგიაძენი... აკეთის საზოგადოებაში სოფელ ჭანჭათში ვერაგულათ მოკლეს ამ საზოგადოების გამოჩენილი მხედარ-მებრძოლი, ერის და სამშობლოს დამცველი. იშვიათი ვაჟკაცი ალფესი გოგუაძე. მამა მისი საბა, რომელმაც თავის შრომა-გარჯით შესანიშნავი, სამაგალითო ოჯახი შექმნა—გაანადგურეს, ბალნარათ ქცეული ეზო გადახნეს, სახლები დაშალეს, წაბლისა და მუხის ფიცრები ბოგირებათ იხმარეს... ალფესის მეორე სასახელო მებრძოლი ძმა ნოე შეიპყრეს, ციმბირში გაგზავნეს, სადაც წამებაში გარდაიცვალა. განსვენებული ციმბირში მყოფმა მისმა ლირსეულმა თანამემა-მულეებმა მის სოფელში ცოლ-შვილს მოუსვენეს... გამწარებულმა მესამე ძმამ ალექსანდრემ თოკით თავი ჩამოილრჩო და ყველა ამ ამბით საზღვარ-გარეთ გახიზნულ მათ ძმას—ვალოდია გოგუაძეს სული მოუწამლეს, სული მოუშხამეს; მისი ჭირისა და ლხი-

ნის თანამგზავრ ნამეტიას გული მოუკლეს და და-  
 ალონეს. ამავე სოფულის, მთელი თაობის ამლზრდელ  
 მასწავლებელ-მოძღვარს, შესანიშნავ კულტურულ  
 აღამიანს—მწერალს ლავრენტი წულაძეს ყაჩალურათ  
 თავს დაეცენ. საყვარელი ვაჟით შეიძყრეს, ოზურგე-  
 თის ციხეში მიიყვანეს და გურიის ყოველ კუთხიდან  
 ასამდე დაჭერილ მეზობლებთან ერთად გამოამწყდი-  
 ეს, სადაც ის, თავის მწევრმეტყველობით და საქარ-  
 თველოს წარსულ ისტორიის მოყოლით ხალხს ამხ-  
 ნევებდა, ტანჯვას უმსუბუქებდა... ოზურგეთიდან  
 ლავრენტი თფილისის ჩეკაში გაღაიყვანეს. შემდეგ  
 გაანთავისუფლეს და... მის საყვარელ გურიაში, მის  
 სოფელში მოკლეს-აწამეს, მისი ქართველობა და  
 პროტესტი მტარვალებმა არ აპატივეს—კულტუ-  
 რული ოჯახი გაანადგურეს, გურიაში ანთებული  
 ლამპარი ჩააქრეს... გურიაში და მთელ საქართვე-  
 ლოში ცნობილი მასწავლებელი და პოლიტიკური  
 მოლვაწე ისიდორე რამიშვილი შეიძყრეს და მის  
 თანამებრძოლ სახელოვან ერის შვილებთან მეტების  
 ციხეში მოათავსეს, სადაც მასავით ჭალარა, მამასა-  
 ვით საყვარელი სილიბისტრო ჯიბლაძე და მრავა-  
 ლი სხვა ერის სახელოვანი მებრძოლი შვილები და-  
 ხვდენ. ციხეს ვერ ასცდა მთელი თაობის დამზღველი,  
 ლრმა მოხუცი, ოთხმოც წელს მიღწეული შესანიშნა-  
 ვი პედაგოგი გიგა შარაშიძე, რამაც მასავით ქვეყ-  
 ნის საყვარელი მსწავლებელი ნინო დაამწუხრა—  
 მთელი გურია გაანცვითრა, საქართველოს შავი, წა-  
 რსული დროება თვალწინ დაუყენა... ჩეკამ თავის  
 სახიზლარი მოქმედება დაამთავრა იშვიათი აღამია-  
 ნის, კულტურული მოლვაწის, სამაგალითო მასწავ-  
 ლებლის მოხუცი არსენ წითლიძის და მლვდელ ეპი-  
 ფანე ჩხაიძის—მეფის დროს კიმბირში ნამყოფის—  
 შეპყრობით. საყვარელ არსენს თფილისის ციხეში  
 ამოართვეს ჯალათებმა სული...

სამეგრელოში ბოლშევიკებმა პირველათ მოკ-  
 ლეს რუსეთის მთავრობასთან ძველი მებრძოლი

1905 წ. «სოჩის რესპუბლიკის» ერთი მეთაურთაგანი, აქვსენტი გვათუა...

კახეთში ჯარის შესვლისათანავე შეიძყრეს სა-ქართველოს პირველი ლენინიალი. ლირსეული ადა-მიანი სტეფანე ახმეტელაშვილი, უდიერათ მოპყრო-ბის შემდეგ რუსეთში გაგზავნეს, საღაც წამებაში, მისი სამოთხის მზგავს, ტურთა კახეთის ნატვრაში ამოხდა სული... და მაზე ასრულდა ორბელიანის სი-ტყვები:

«ალარ მელირსა მშვენიერო ჩემო კახეთო,  
რომ გომბორის მთით შენს მშვენებას კვლავ გად-  
მოვხედო,

დავეშო პირქვე, შენს წალკოტებს ჩამოუარო  
და იქვე ჩრდილში განვისვენო და განვიხარო»...

ოხ, რა მზგავსებაა ძველი რუსეთის და ეხლან-  
დელ მოქმედების შორის? როგორც მაშინ, ისე ახ-  
ლაც შეგნებულ, მოწინავე ქართველობას სპობენ.  
სტეფანე ახმეტელაშვილის ძმებიც შეიძყრეს, სხვე-  
ბთან ერთად საყვარელ მხარეს მოგლიჯეს, მათი  
კულტურული და სამაგალითო ოჯახი გაანადგურეს,  
ბერლინში მყოფ მათ ძმას ლადოს ჭირზე ჭირი მიუ-  
მატეს—პირადი და საერთო უბედურობა გააერთი-  
ანეს...

ამ ოჯახის განადგურებით დაიწყო ტურთა კახე-  
თის აოხრება, მათი ლალი ვაჟკაცების ხვრეტა, მათი  
ქონების რუსეთში გაზიდვა და სახელოვან კახელი  
დედების შვილებზე ცრემლის ლვრა... შაჰ-აბაზის  
დღეები კახეთში განმეორდა...

თუშ-ფშავ-ხევსურეთში მრავალი ვაჟკაცი შე-  
ეწირა ოჯახის, ცოლშვილის, ქონების დაცვას, მო-  
ზლვავებულ რუსეთის მძარცველებს თავი შეაკლა  
და მათ შორის დაიღუპა ცნობილი თელო რაზიკა-  
შვილი, მოხუცი მასწავლებელი—ვაჟა-ფშაველას ძმა  
პოეტი, რომელიც ამოლებულ ხმლით ხელში მტრის  
რაზმებს ჰქავავდა: «ვაი დედასა. ყორნებო, რა დროს  
ჩამიგდეთ ხელშია» ხმა მალლა გაჰკიოდა... ჩეკისტე-

ბმა თედო მოკლეს, მთელი სხეული ნაჭერ-ნაჭერ აკუწეს...

ხელისუფლებამ სასტიკი იერიში თფილისის დეპო-სახელოსნოს მუშებზე მიიტანა, რომელიც ათეული წლის განმავლობაში მოპოებულ უფლებებს არ სთმობდა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა... ამ ბრძოლაში გაერთიანდა მუშებთან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, საშუალო სკოლების ახალგაზდობა, მწერალთა კავშირები, მასწავლებელთა კორპორაციები და ყველა კულტურული დაწესებულებანი... როდესაც საპროტესტო დემონსტრაციები, ან ეროვნული საზეიმო დღის აღნიშვნა იყო, ყველანი ერთად გამოდიოდენ ქუჩაში, მწყობრათ ლებულობდენ მთავრობის საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობას. კრებებზე რეზოლუციების მიღების დროს, უშიშრად, «ფრჩხილით და კბილით» თავის პოზიციას იცავდენ, არც დაჭერას, არც დემონსტრაციების დროს მათრახის ცემას არ ერიდებოდენ. ახალგაზდა თავქოჩა გოგონები, სკოლის ვაჟები, მოხუცი დარბაისელი მშობლები, ალფროთოვანებული სტუდენტები და მეფის თვითმპყრობელობის დამხობაში ციხე-ციმბირში გამოწროთობილი მუშები პირველობაში ერთმანეთს ეცილებოდენ...

განსაკუთრებით დიად და პირდაპირ დაუჯერებელ სანახაობას წარმოადგენდა 26 მაისის საპროტესტო დემონსტრაციები 1921 და 1922 წლებში, სადაც თავპირ დასისხლიანებული ახალგაზდა ქალ-ვაჟნი თავის პაწია თითებით ეროვნულ სამთეროვან დროშას ჯალათ ჩეკისტებს არ ანებებდენ; მანდილოსნები, ვაჟკაცები მოძალადე ხელისუფლებას და მათ ჯალათებს გააფთრებით ებრძოდენ... ასეთი ამბები მთელ საქართველოში ხდებოდა. მეტად სისხლიანი შეიქნა ის ბათუმში 1922 წ. თებერვალში, დაპყრობის წლის თავზე დემონსტრაციის დროს, სადაც სკოლის შეგირდები დასისხლიანებული იბრძოდენ..

მთავრობა პირდაპირ გაოცებული იყო ასეთი ერთსულოვანი სიმტკიცით, გატაცებით,—ხალხის მიერ თავდადებით, ტაქტით და გონიერი მოქმედებით; ხალხი არავითარ პროვოკაციაზე, არავითარ მთავრობის მიერ დაგებულ მახეში არ ებმებოდა, ჩეკის მიერ გადმოგდებულ ანკესზე არ ეგებოდა; გასაშტერებელი თავგამოდებით, გონიერათ, დემონსტრაცია-პროტესტებით თავისუფლებას აშკარად, საქვეყნოთ იცავდა—თვით ერთიანდებოდა. მტერსა და რეაქციას ამარტოვებდა...

ყოველ მხრივ შევიწროებულმა თფილისის რკინის გზის დეპო-სახელოსნოს მუშებმა ხელისუფლებასთან თფილისის სასახლეში მოთხოვნილებით დელეგატები გაგზავნეს... მთავრობამ დელეგატები და-ატყვევა, ლამე ქურდულათ, მოპარვით მეტების ცა-ხეში გაგზავნა... როცა დელეგატები აღარ დაბრუნდენ, მუშები მთავრობას შეეკითხენ. ხელისუფლებამ უსირცხვილოთ უპასუხა: «ჩვენთან არავითარი დელეგაცია არ მოსულაო». მაშინ ციხეში გამომწყვდეულმა დელეგაციამ, ვითარცა ნესტან-დარეჯანმა ქა-ჯეთის ციხიდან. მოახერხა და მუშებს აცნობეს მდგომარეობა, გადაუგზავნა მოთხოვნილების ჯ-სლი, ხოლო დელეგატების არ გაგონილი დაჭირვა საზღვარ-გარეთ მუშათა სოციალისტურ ინტერნა-ციონალს აცნობა. ამის გამო მთელი სახელოსნოს მუშები გაიფიცენ. მათ სხვა მუშები და საზოგადოება შეუერთდა... მთავრობის უდიერმა მოქმედებამ უძლიერესი საპროტესტო გამოძახილი გამოიწვია. არალეგალური პროკლამაციები, გაზეთები ათასობით იბეჭდებოდა, მთელ საქართველოს და კავკასიას ეფიზებოდა. ამოძრავდა მთელი ერი, ამოძრავდენ ეროვნული პოლიტიკური პარტიები, მათი ძველად ნაცადი ორგანიზაციები, საიდუმლო საბეჭდავი მან-ქანები და ცეცხლ-მფრქვევი, სიმართლის მღალადებელი ხმა მთელ მხარეს მოედო.

### VIII. სვანეთის აჯანყება.

სვანეთი არც ძველათ და არც ახლა ხელმეორედ შემოსეულ რუსეთის ჯარს არ დანებებია, მისი სპეტაკი, თოვლით მოსილი ქედები მტერს არ უჯეკნია.. სვანეთი ძველად და ახლაც თავისუფლათ ცხოვრობდა, იარაღით ხელში მის მიწა-წყალს უხსოვარ დროიდან იცავდა, მტრის წინაშე ქედის მოხრა არ ჩვევია; ამას კონსტანტინე დადიშქელიანის ქცევაც აღასტურებს, როცა მის მთებსავით ამაყმა ბუნებამ თავისუფლების შელახვა არ მოითმინა, რუსის ჯარით გავსებულ ქუთაისში, მოხელეებით და მცველებით გარშემორტყმული ამ მხარის მმართველი გაგარინი ხმლით ორათ გაჰქვეთა...

სვანეთის ამ განსაკუთრებულ თვისებას, მის გეოგრაფიულ, მიუვალ მდებარეობას მეფის მთავრობაც უწევდა ანგარიშს, მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში იყო...

როცა რუსეთის თვითმპურობელური ტახტი დაემხო, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ეროვნული მთავრობა შეადგინა და ქვეყნის მართვა-გამგეობა იწყო, სვანებმა თავისებური სიღინჯით, აუჩქარებლად ახალი მთავრობის, მის მოქმედების შესწავლას შეუდგა და როცა დარწმუნდა, რომ ეს მთავრობა ზევიდან მოვლინებული კი არ იყო, რომელიმე კლასის, ან წოდების, არამედ ხალხიდან იყო წარმოშობილი, ხალხის უკეთილშობილესი ზრახვების, მისი თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის თვით ერის გულიდან, მხოლოდ ამის შემდეგ, დიდის სიფრთხილით, სათემო ბჭობით. საყდრებში, მათ «საკვირველ მომქმედ» ხატების წინ შემოსილი სამლენებელის, «თავისუფალ სვანების» გაშლილ დროშების ქვეშ შეიკრიბენ, საქართველოს ეროვნულ მთავრობას შეფიცეს. თავისუფლებისათვის მებოძოლ საქართველოსთან გაერთიანდენ, ძმურად ხელი გაუწოდეს...

როცა რუსეთი ხელმეორედ ბოლშევიკების მე-  
 თაურობით საქართველოს შემოესია და სოციალი-  
 ზმის სახელით ერის მიერ შექმნილი სახელმწიფო  
 მართვა-გამგეობა მოშალა, ქვეყანა ააოხრა, დაიმო-  
 ნა, ხალხის თავისუფლება მოსპო. «თავისუფლალმა  
 სვანეთმა» სათემო ყრილობებზე ბჭობა გამართა,  
 თავის ზნე-ჩვეულების, ადათის, ნამუსის და ოჯახის  
 დასაცავად იარაღს ხელი მოკიდა, 1921 წ. შემოდგო-  
 მაზე მოძალადების და თავისუფლების მომსპობ  
 რუსეთის წინააღმდეგ ძველებურათ ბრძოლა დაი-  
 წყო...

სვანებმა ადგილობრივი დაწესებულება-მილი-  
 ცია აიღო, რუსის მცირედი რაზმები მოხელეები  
 განაიარალა, მთელი მხარე, სვანეთში შემავალი გზე-  
 ბი პარტიზანებით გაამაგრა... ზამთრობით დიდი თო-  
 ვლის გამო სვანეთი ყოველმხრივ მოწყვეტილია სხვა  
 მხარეებს, ამიტომ რუსის ხელისუფლება ზაფხულს  
 უცდიდა, რომ დიდი ჯარით შესულიყო, ქედ-მალა-  
 ლი სვანეთი მოედრიკა! აქ ამჯანყებლებზე, წამქეზე-  
 ბლებზე ლაპარაკი ზედმეტია, ესენი მათ მთებსავით  
 ამაყია და თავისუფლების მოყვარულნი, ყველანი  
 ერთნაირად იცავენ თავისუფლებას.

ამ აჯანყებამ გამოხმაურება პოვა არა მარტო  
 საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. მისი გამოძა-  
 ხილი ევროპასაც მიწვდა და უცხოეთის პრესა აალა-  
 პარაკა.

დამოუკიდებლობის კომიტეტმა საქართველოს  
 ამბები სათანადო მასალებითა და კათალიკოს ამბ-  
 როსის შესანიშნავი მემორანდუმი ისე, როგორც  
 რამდენიმე ათეული ათასი კაცის მიერ ხელმოწერი-  
 ლი პროტესტები, უცხოეთში გახიზნულ მთავრობას  
 გადაუგზავნა საგანგებოდ გაგზავნილ ორი ქართვე-  
 ლის—საშინელ ამბავთა და წამებათა უშუალო მო-  
 წამეების—ხელით.

## IX. სვანეთის ამბების გამოძახილი.

ბოლშევიკებმა ქვეყანა გაძარცვა, ააოხრა, საქართველოში ქართველს დევნა დაუწყო, მუშა და გლეხი, მოხელე, კულტურული მომუშავენი, ერი და ბერი—ყველა გადაიმტერა, მიწაზე არავინ დააყენა, ცაში მიმფრინავ წეროზე ოცნებობდა. გაყალბებული სოციალიზმის სახელით ერს სპობდა! რევოლიუციაში აღმართილი თფილისი ბობოქრობდა, დემონსტრაციებს აწყობდა; ქუჩებში სისხლი იღვრებოდა, ყოველი დაწესებულება უზურპატორ, არამკითხე მთავრობას პროტესტს უწადებდა... პარტიები, ჯგუფები, გვარდია და ჯარები საიდუმლოთ ირაზმებოდა; ეროვნულ პარტიების წარმომადგენლებიდან შემდგარი საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტი ამ რეალურ ძალას სათავეში უდგებოდა, ქვეყნის ნამდვილი პატრონი ხდებოდა, საზღვარგარეთ გახიზნულ ეროვნულ მთავრობასთან კონტაქტში შედიოდა...

მტრის მიერ აოსრებული საქართველო ნათელ სახეს ლებულობდა, არალეგალურათ ირაზმებოდა, სხვადასხვა პარტიების საშუალებით ერთ ცენტრში თავს იყრიდა, რთულ პირობებში ერკვეოდა, ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობას არალეგალური გამოცემებისა და საიდუმლო მიწერ-მოწერის საშვალებით ეცნობოდა, ერის გადასარჩენათ ყოველ საშუალებას ხმარობდა. ორგანიზაციები ისე კარგად იყო აწყობილი, რომ ევროპიდან წესიერათ უცხოეთის უურნალ-გაზეთებს ლებულობდენ, არალეგალურათ მომქმედი საგანგებო ბიურო ამ ცნობებს ამუშავებდა და აწვდიდა ქართულ არალეგალურ გაზეთს «ჩვენი ერთობა»-ს, რომელიც თფილისის სახელოვან ასოთ-ამწყობების მიერ იწყობოდა და იბეჭდებოდა, მთელ საქართველოს ეფინებოდა...

1922 წლის თებერვლიდან იწყო გადამალვა ყოფილ გვარდიისა და ეროვნულ აფიცრობის მებრძო-

ლმა ნაწილმა. ისინი იქნენ აყვანილი ალრიცხვაზე საიდუმლოდ მომქმედ გვარდიის შტაბის მიერ. ამ დროს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო საბჭოს მოწყობა კიდევ არ იყო დასრულებული.

სხვათა შორის დატუსალებას გაექცა და მთებში გაიჭრა მთების შვილი და სახელოვანი ვაჟკაცი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ჩოლოყაშვილმა რაზმები შეაღვინა, მამაცი «შეფიცულებით» დუშეთ-კახეთ ხევსურეთში «მოქმედება» იწყო.

სვანეთი აჯანყდა 1921 წელს დეკემბერში, ხევსურეთი 1922 წელს ზაფხულში...

ამ ორმა გამოსვლებმა მთელი საქართველო აამხედრა, ბოლშევიკების მიერ დასაჭიროავათ შენიშნული ვაჟკაცები ტყე-მთებში გაიჭრა, პარტიზანობა გაჩაღდა, რომელნიც შემდეგში პარტიულ ორგანიზაციების და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა; ალრიცხვაზე იქნა აყვანილი და შემდეგ წლებში საქ. დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებულ უმაღლეს სამხედრო საბჭოს განკარგულებაში გადავიდა.

«შეფიცულები» ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით აწარმოებდენ პარტიზანულ თავდასხმებს მილიციონერებზე, ჩეკისტებზე, ხევსურეთთან ერთად რუსის ჯარის წინააღმდეგ და მტერს დიდ ზიანს აყენებდენ; მოკლულ-დაჭრილთა გარდა ტყვეებიც წაიყვანეს... ამან ქაქუცას და მის შეფიცულებს ხალხში სახელი გაუთქვა, იმედი ალუძრა... ხელისუფლებამ მთებში შემავალი გზები ჯარებით გაკრა... შეფიცულებმა თავი კახეთის მიღამოებს შეაფარეს — თფილისის საშუალებით სვანეთ-იმერეთის მოძრაობის ხელმძღვანელებთან კავშირი დაიჭირეს თფილისის «ცენტრის» განკარგულებაში დადგენ... ამ დღიდან პიროვნული, ჯგუფური, კუთხური გამოსვლები მიზანშეუწონლად იქნა აღიარებული და მთელი

მოძრაობის ხელმძღვანელობა გადავიდა დამოუკი-  
 თებლობის კომიტეტის ხელში. პარტიზანულ ბრძო-  
 ლებში სახელოვნად ღაილუპენ დუშეთის რაზმის  
 ხელმძღვანელი გვერდწითელი და მთელი მხარის  
 საყვარელი სიკო ჩოლოყაშვილი—ქაქუცას ძმა...  
 ქაქუცა ჩოლოყაშვილის, «შეფიცულების» ამბავთა  
 აღწერა მათი მონაწილე და მოწამეთა მოვალეობაა...

#### X. სილიბისტრი ჯიბლაძის გარდაცვალება.

1922 წელს თებერვალში თფილისში გარდაიცვა-  
 ლა ჩეკისტების მიერ დევნილი, არალეგალურათ მო-  
 მუშავე და მთელი მოძრაობის ხელმძღვანელი, მთე-  
 ლი თაობის აღმზრდელი, შესანიშნავი ადამიანი სი-  
 ლიბისტრო ჯიბლაძე. ამ ამბავმა მებრძოლ ერს გუ-  
 ლი მოუწამლა, მთელი კავკასია დაამწუხრა... მიცვა-  
 ლებული მისმა თანამებრძოლ-მეგობრებმა ლამით  
 მის ცოლშვილში ეტლით მიიტანეს...

დილას ჩეკა მიიჭრა მათ ბინაზე, მიცვალებული  
 მის ცოლშვილს ძალით მოსტაცეეს—თვითონ დაასა-  
 ფლავეს, რომ თფილისში ხალხს დემონსტრაცია არ  
 მოეხდინა...

ამ სახითათო დროში სილიბისტრო ჯიბლაძის  
 დაკარგვა უდრიდა აზვირთებულ ზლვაში მყოფ გემ-  
 ზე კაპიტანის დალუპვას...

#### XI. რეპრესიის ასალი ტალღები.

1922 წლის ოქტომბერში ხელისუფლებამ დააპი-  
 რა ციმბირში გადაესახლებია მეტეხის ციხის 62 პო-  
 ლიტიკური ტუსალი. ეს იყო ოკუპანტური ხელის-  
 უფლების შეგნებული პროვოკაცია. მან ვერ შეს-  
 ძლო მშვიდობიანი დემონსტრაციების ძლიერი ტა-  
 ლების შეჩერვა, პროკლამაციების ბეჭდვა და გა-  
 ვრცელება; იგი ხედავდა რომ მთელი ქვეყანა მის  
 წინააღმდეგ იყო დარაზმული. მან გადაწყვიტა ამ  
 ამაყი, ეროვნულ თავისუფლებაზე შეყვარებულ ხალ-

ხის მოდრეკა, მისი ეროვნული ნებისყოფის გატეხა  
 და დაეძებდა საამისო მიზეზსა და შესაფერ შემთ-  
 ხვევას; არავითარ პროვოკაციას არ ერიდებოდა,  
 ოლონდ კი ხალხს იარაღი აელო ხელში და მშვიდო-  
 ბიან დემონსტრაციებიდან და კულტურულ ხასია-  
 თის პროტესტებიდან ხელჩართულ ბრძოლაზე გა-  
 დასულიყო. ამ მიზნით საოკუპაციო ხელისუფლებამ  
 გადასასახლებელი ტუსალები მოსკოვის ჩეკის გან-  
 კარგულებაში გადასწერეს. ამით საქართველოს ჩე-  
 კა რუსეთს დაუმორჩილეს... პოლიტიკური ტუსა-  
 ლები არ დათანხმდა მოსკოვში წასვლაზე. ციმბირ-  
 ში გადასახლებაზე და სასტიკი პროტესტი განაცხა-  
 დეს: ჩვენ თუ რაიმე დანაშაული მიგვიძლვის უნდა  
 გაგვასამართლოს საქართველოს ხელისუფლებამ,  
 სადაც, როგორც ნებავს დაგვსაჯოს. მარა მხოლოდ  
 საქართველოში, სხვის სახელმწიფოში რათ გვაგზავ-  
 ნიან, რუსეთი აქ რა შუაშიალ! მოსკოვმა ნილაბი აი-  
 ხადა, საქართველოს სუვერენობა ფეხქვეშ გათელა  
 და მათ სასახელო შვილებს ციმბირისკენ გზა უჩვე-  
 ნა... ამ გადაწყვეტილებას ციმბირში გასაგზავნად  
 გამზადებული ტუსალები პროტესტით შეხვდენ, სა-  
 ბრძოლველათ მოემზადენ... რამდენიმე ათასი ტუსა-  
 ლი ციხეებში ლელავდა, აბობოქრებული თფილისი  
 დღიან-ღამიანა მეტების ციხეს მიჩერებოდა, სადაც  
 მათი ლირსეული შვილები ერის უზენაესობას თავ-  
 განწირვით იცავდენ... სამ თვემდე გასტანა მოლაპა-  
 რაკეკებამ მოსკოვ-თფილისის ჩეკას შორის. ხელის-  
 უფლება ყოყმანობდა, მრისხანე თფილისის ეშინო-  
 და... ბოლოს გადაწყვიტეს 62 კაცის გერმანიაში გა-  
 დასახლება! ტუსალები ამაზედაც არ დათანხმდენ:  
 ჩვენ თუ რამე დავაშავეთ, საქართველოს ხელისუფ-  
 ლებამ ჩვენ სამშობლოში, როგორც უნდა ისე მოგ-  
 ვახდევიოს სასჯელი, რუსეთს აქ რა ხელი აქვსო...  
 ჩეკამ ციხეში ჯარი შეიყვანა, მოსკოვის სახელით  
 ტყვეებს გამოსვლა უბრძანა... ტუსალებმა რკინის  
 კრაოტებით კიბე ამოროხეს, ბარიკადები გამართეს,

ციხეში გამაგრდენ!.. რომ სისხლის ლვრა არ მომ-  
 ხდარიყო ციხის მეორე განყოფილებაში მყოფნი  
 ეროვნულ მთავრობის წევრები მოლაპარაკებაში  
 ჩაერიენ და გრიგოლ ლორთქიფანიძის მოთხოვ-  
 ნით ტუსალები ბერლინში გადასახლებას დამორჩი-  
 ლდენ...

მიუხედავად ამისა მეტების ციხეში გამომწყვდე-  
 ულ ტუსალების თავგანწირულმა ბრძოლამ და პრო-  
 ტესტებმა ქართველ ხალხს ძალა და ეროვნული სი-  
 მტკიცე შემატა, მტერი მორალურად მოშალა.

## XII. სვერგება-წამება.

ვერავითარი სასტიკი მოპყრობით და ჩეკაში  
 წამებით ხალხი სულიერათ ვერ გასტეხეს, ვერ დაი-  
 მონეს.

გურიაში ჩეკაში აწამეს ორი ახალგაზდა გ. სხა-  
 ლაძე და ვ. ინწკირველი. მათ თითების ფჩხილები  
 დაუჩველიტეს. ტიტველი თავდაყირა დაკიდეს, პა-  
 პიროსის ცეცხლით მთელი ტანი დაუწივეს... სხალაძე  
 რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელში გარდაიცვალა.  
 ვ. ინწკირველს მშობლები დაელუპა, ოჯახი გაუნად-  
 გურდა, თვითონ იგი ორგანიზაციაში საზღვარ გარეთ  
 გაყვანით გადაარჩინა... როცა ოზურგეთის ჩეკის სა-  
 რდაფში ახალგაზდა მანდილოსანს სცემდენ, ტიტით  
 ავადმყოფი დაკითხვაზე გაყავდენ, ჩვენებას ართმევ-  
 დენ, ამ საარაკო ნებისყრდის აღამიანმა უკანასკნე-  
 ლი ძალ-ლონე მოიკრიფა, ჯალათებს სისხლიანი ნა-  
 ხველი სახეში მიაფურთხა,—აი ჩემი პასუხიო!

მომქმედ ორგანიზაციების და პარტიების აღმო-  
 საჩენად ამავე ჩეკის სარდაფში ოჯახის პატრონ ყმა-  
 წვილ კაცს მაუზერის ტარით ცხვირ-პირში სისხლს  
 ადენდენ...

ახალგაზდა მარქსისტების წრის აღმოსაჩენად შე-  
 იპყრეს ჩოხატოურის გიმნაზიის უფროსი კლასის  
 მოწაფე, ლამე კოოპერატივის დუქანში შეამწყვდიეს;

ოზურგეთის ჩეკისტმა პოლშინმა ყმაწვილს ტანზე გააძრო, თოფის ზუმპით-შომპოლით მთელი ზურგი დაუსერა, ცემით დაალილავა, - არ გაამხილო, თორემ მოგვალავო. — დაემუქრა. იმ ღლებში აქ მობრძანდა სამშობლოს გამცემი იუდა ფილიპე მახარაძე, რომელიც რუსის ჯარს თავის თხასავით წვერით საქართველოში შემოუძლვა და ჩოხოტაურის თემის შეკრებილ ხალხს დარიგება და სოციალიზმზე საუბარი დაუწყო... ხალხმა ველარ მოითმინა, პოლშინის ნაცემი ყმაწვილი გამოიყვანეს, ხალათ-პერანგი გახადეს, დასერილი ბეჭები ფილიპეს უჩვენეს, მკვახედ მიახალეს: «სოციალიზმის და თავისუფლების დამცველი მთავრობა ჩვენ შვილებს ასე არ მოექცევაო. ჩვენ შვილებს სკოლაში იმისთვის კი არ ვაბარებთ, რომ ბავშვები გააჯაშუშოთ, გვიწამოთ... მეფის ჩამოსაგდებათ ამიტომ კი არ გვიბრძოლიაო!...» ფერწასული ფილიპე ხალხის წინაშე კანკალებდა, ბოლიშობდა, გაუგებრობას აბრალებდა, ვაცივით წვერებს იბურძგვნიდა... განრისხებული ხალხის დასამშვიდებლად მან პოლშინი დაატუსალა, მარა ერთი კვირის შემდეგ პოლშინი ჩეკისტის უმაღლეს ადგილზე იქნა დანიშნული...

ბათომის ციხის ახლოს ჩეკისტების მიერ დახვრეტილ აღამიანის ძვლებს ძალლები ხრავდა, ყვავები ესეოდა, დამარხვას ვერავინ ბედავდა... აქაური მცხოვრებლები მორიდებით ხელისუფლებას ევერებოდენ: თუ თქვენ არ მარხავთ, ნება მოგვეცით ჩვენ დავმარხოთო...

კახეთში ტყის პირათ ათი-თორმეტი წლის მწყემსი შეიპყრეს, გაქცეულ «შეფიცულების» გზის სწავლება მოსთხოვეს. ბალლი უარზე იღვა: არა ვიციო. ბავში თოკით ხეზე ჩამოკიდეს, ქვეშ თივის ცეცხლი შეუნთეს, თავ-პირი მათრახის ტარის ცემით დაუსისხლიანეს, დააოსეს, ვერავითარი სიტყვა ვერ ამოსტყუეს... როცა ჯალათები გზას გაუდგენ «შეფიცულებმა» ჩამოიარეს. თავპირ დასისხლიანებუ-

ლი ბავში სიხარულით მათკენ მიფორთხდა: «ჯარი  
აქეთ წავიდა, ჩქარა თავს უშველეთო!»

დახვრიტეს საგარეჯოელი გვარდიელი, შესანი-  
შნავი ვაჟკაცი, ალექსანდრე გელაშვილი, ვაჩნაძე,  
სულიკ ანდრონიკაშვილი, სუმბათაშვილი, ორი ბი-  
ძაშვილები ჩოლოყაშვილები, ყარალაშვილი.

1922 წლის დამლევს დახვრეტები მთელ საქარ-  
თველოში ხდება. ხშირად კომუნისტები კლავებ მო-  
ხუც მოწინავე, დარბაისელ გლეხებს, მეფის თვით-  
მპყრობელობასთან ათეული წლების განმავლობაში  
მებრძოლთ, რომლებსაც ხალხში პატივისცემა და  
გავლენა აქვთ, თავისუფლებას მიჩვეულნი სათემო  
კრებებზე გაბეღულად რომ ბოლშევიკებს ებრძვიან..  
ასეთი ხალხის შესაშინებლად და დასასჯელად საქა-  
რთველოს ყოველ კუთხეში განსაკუთრებული რაზ-  
მები იგზავნება ჯალათ ჩეკისტების მეთაურობით  
და მათ შორის გურიის ხალხის დასამორჩილებლათ  
არანორმალური, ნახევრათ შეშლილი ბოროტი ცნო-  
ბილი ობოლაძე...

ობოლაძემ თავისი მხეცური მოქმედება ლანხუ-  
თიდან დაიწყო. ლანხისუთი წინად გაბეღულად შეხვ-  
და ტკბილად მოსაუბრე ფილიპე მახარაძეს; ბევრი  
მწარე შეკითხვებით გააცოფეს ეს იუდა, რომელიც  
მთელი ამ თემის რევოლიუციონურ მცხოვრებლებს  
კონტრ-რევოლიუციონერებს უძახოდა, პირიდან  
დორბლს ყრიდა, «ამოგწყვეტათ, თქვე ნოე უორდა-  
ნიას წიწილებოვო»—სოციალიზმის სახელით იმუქ-  
რებოდა... 1922 წლის ბოლო თვეებში ობოლაძე ბო-  
როტებით ალსავსე მახარაძის ქადილის განხორციე-  
ლებას შეუდგა. მან შეკყარა მთელი ლანხისუთის თე-  
მის მცხოვრებლები ლანხისუთის ეკლესიის გალავან-  
ში; ჩეკისტებით გარშემორტყმული მათრახით ხელ-  
ში იდგა, ორგანიზაციების, ბუნტოვჩიკების გაცემას  
მოითხოვდა. საკინძე ჩამოგლეჯილი, ჯილ გულზე  
იცემდა,—«მომკალით აბა თუ შეგიძლიათ, აგერ ვარ,

თქვენს წინაშე მდგომიო — ილანძლებოდა და იმუქ-  
რებოდა.

1922 წელს დეკემბრის დამლევს სოფელ ლესაში  
საზოგადოების კრება იყო, რომელზედაც ობოლაძე  
გავარდნილ კაცებს და იმ ქურდების გაცემას თხოუ-  
ლობდა, რომლებმაც წინა დღეებში რკინის გზის ვა-  
გონები გასტეხეს, კოპერატივიდან საქონელი წაი-  
ლეს... ხალხმა იცოდა, რომ ამის მომქმედი გუშინ  
ქურდ-ბაცაცები, დღეს შეიარაღებული სოფლის კო-  
მუნისტები იყვენ, მარა შიშით ხმის ამოლებას ვერ  
ბედავდა. ბოლოს წამოდგა ამ სოფლის ლრმა მოხუ-  
ცი სამოცდაათი წლის საბა უგრეხელიძე და შებედა:  
«დასაჭირავი თქვენ ხართ, რომ ნაქურდალი ტანზე  
გაცვიათ!» ეს მოხუცი სიმართლის თქმისათვის  
ობოლაძემ დახვრიტა. ამავე დროს ამ თემში დახვ-  
რიტეს კიდევ ორი ქმა, რომელთა გვარები სამწუხა-  
როდ არ მახსოვს.

როცა ობოლაძე თავის ჯალათებით ამ მხარეს  
მოშორდა, გამწარებულმა უგრეხელიძის ქალიშვილ-  
მა ლამე დახვრეტილების საფლავებიდან თავის მამა  
მოპარვით სახლში წაილო; მეორე დღეს რომ დახე-  
და, მამა აღარ აღმოჩნდა: სიჩქარის გამო სხვა დახვ  
რეტილი წაელო. საბრალო ქალიშვილი შეშინდა  
ჯავრმა მოიცო და ჭკუაზე შეიშალა, გადაირია. ასე  
დაილუპა მთელი ოჯახი.

მელექედურში, ლეხაურში, შემოქმედში და სხვა  
სოფლებში მრავალი სახლკარი გადაწვეს, ზოგი სა-  
ხლი დაარღვიეს და წაილეს.

1922 წლის 12 დეკემბერს თავს დაესხენ ფილიპე  
მანწკავას და მოსთხოვეს მისი შვილის-გვარდიელის  
გაცემა. გვარდიელი ტყეში გავარდნილი აღმოჩნდა;  
სხვების შესაშინებლათ ობოლაძემ ნავთი მოატანია  
და სახლს ცეცხლი წაუკიდა. გადამალულის ახალ-  
გაზდა ქმამ ცეცხლის ჩაქრობა სცადა; ამ «თავხედო-  
ბით» გაბრაზებულმა ჯალათებმა ახალგაზდა გიმნა-  
ზიელი საცოდავ მამისა და გაშტერებულ მეზობლე-

ბის თვალწინ ცეცხლში შეაგდეს, ცოცხლად დასწვეს!..

ჯურულეთში გოგიჩაიშვილის სახლი გადასწვეს და ოზურგეთისაკენ გაემართენ...

1923წ. თებერვალში, გადაუწვეს სახლ-კარი პლატონ ხავთას ს. ქაქუთში და მამაშვილი დახვრიტეს! ზოსიმე ფირცხალაიშვილი, ათეული წლების განმავლობაში თვითმკყრობელობასთან მებრძოლი, პოლიტიკური, კატორლაში ნამყოფი გლეხი, სიმართლის თქმისათვის საიდუმლოთ მოკლეს. თავისუფლებისათვის მებრძოლ ავთანდილ ურუშაძის სახლი დაშალეს და თემის სამმართველოთ დადგეს...

ლანჩხუთში ნოე უორდანიას დედას სახლი ჩამოართვეს, შიგ სკოლა გახსნეს, ეს ერის ლირსეული შვილის აღმზრდელი დედა ერთ პატარა ოთახში მოათავსეს!..

სისხლითა და ბოროტებით დამთვრალი ჯალათები ეტლით ოზურგეთისაკენ გამოემართენ; უცებ გავარდა თოვი და სულთმობრძავი მხეცი ობოლაძე ეტლიდან ძირს გადმოვარდა; დაჭრილი სროლას აპირობდა, რომ მაუზერის ტყვიებით ეს ჯალათი იქვე მოკლეს... ობოლაძის მხლებლებმა გაქცევით თავს უშველეს...

ამით დაიწყო გურიაზე შურის ძიება და მთელ საქართველოში გაუგონარი ტერორი.

გაძლიერებული რაზმით თფილისიდან ცნობილი ტალახაძე მოიწრა და საუკეთესო გურიის შვილები აწამა...

ახლათ შეპყრობილი და წინათ დაჭრილები ოზურგეთის ციხიდან გაყავდენ მდინარე ბზუუის პირად, ხელგაკრულებს ლამის წყვდიაღში განუკითხავად ხოცენ... როცა ჩამწკვრივებულ ხელ-ფეხ შეკრულ ტყვებს რიგრიგობით ხვრეტდენ, ბოლოში მდგომა ტუსალებმა კბილით შეხსნეს თოკი ერთ ახალგაზდას, რომელმაც სიბნელეში გაქცევით თავს უშველა... ამ ჯოჯოხეთურ ლამის და ჯალათების

მიერ სხვადასხვა კუთხეებში ჩადენილ ბოროტებათა აღწერა შემთხვევით გადარჩენილთა მოვალეობაა...

ობოლაძის მოკვლით გაბოროტებულმა ხელი-სუფლებამ ლანჩხუთის, ოზურგეთის და თფილისის ციხიდან გამოყვანა დატუსალებული გურულები ოთხმოცდათორმეტი კულტურული შვილი და დახ-ვრიტა, ერის მოამაგე მამული შვილები მოსპო.

1923 წელს ვე გაზაფხულს ე 19-ს გამოაცხადა მთა-ვრობამ, ნამდვილათ კი 21 მაისს დახვრიტეს სამხე-დრო პირები ცნობილი მამული შვილები კოტე აფ-თაზი, ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკა შვილი. გოგი ხიმშია შვილი, ელიზბარ გულისა შვილი, კლიმია შვი-ლი, იასონ კერესელიძე, როსტომ მუსხელი შვილი და სხვები.

თუ ერთი წლის წინათ სილიბისტრო ჯიბლაძის დაკარგვა აზვირთებულ ზღვაში გემზე კაპიტანის დალუპვას უდრიდა, ამ სასახელო, ყოველ მხრივ შე-მკულ და უმწიკვლო მამული შვილების დახვრეტა ბრძოლის ველზე გაშლილ ჯარის ხელმძღვანელ სამ-ხედრო მტაბის უცებ მოსპობას შეედრებოდა...

ამ საშინელების შემდეგ ბრძნულ მოქმედებას მიჩვეული ხალხი წონასტორობას კარგავს, ნერვიუ-ლობს; მთავრობა იერი შებზე გადადის...

იმერეთში ააოხრეს და წაბილწეს ერთი უწმიდე-სი და უდიდესი ძეგლი — დავითი და კონსტანტინეს მონასტერი, არგვეთის წამებულთა მოწამეთა, რამაც ხალხში დიდი აღშფოთება გამოიწვია...

საქართველოს მდიდარი ტაძარ-მონასტრები ხელ-მეორეთ რუსეთის აგენტებმა გაძარცვეს და შემდეგ დასანგრევათ მიაღვენ. შეუდგენ ქუთაისის სობო-როს დაშლას შუა ქალაქში, ბულვარის პირდაპირ. ქუთაისის გარშემო მდებარე სოფლელებმა ადრე გაიგეს ეს ამბავი და ქალიან-კაციანად ქუთაისის მო-აშურეს, ტაძართან მოზღვავდენ, გარს მცველებათ მოაღვენ... შეშინებულმა ჩეკისტებმა ხალხს ტკბი-ლად მოელაპარაკენ, ხელისუფლებასთან მოსალაპა-

რაკებლად გაისტუმჩეს. გულუბრყვილო ხალხი სი-  
 ჩქარით მთავრობისკენ გაემართა. ჩეკისტებმა ქუჩე-  
 ბი ტყვიისმფრქვევლებით გაამაგრეს, თოკებით ტა-  
 ძრის თავზე აცოცდენ, ჯვარი გადაამტვრიეს, ტაძ-  
 რის დანგრევას შეუდგენ... გამწარებული ხალხი ქუ-  
 თაისიღან გარეკეს... მამაკაცები წვერ-ულვაშს იგლე-  
 ჯდენ, მანდილოსნები იწყევლებოდენ, ცხარე ცრემ-  
 ლით იდულრებოდენ.—ეხლა მივხვდით ეს რა ველუ-  
 რები შემოგვესია, მეორედ მოსვლააო,—გაიძახო-  
 დენ...

1924 წელს გაზაფხულზე, სვირის ახლოს ეკლესი-  
 ის დღესასწაულზე შეიპყრეს ცნობილი ქუთაისის  
 მიტროპოლიტი ნაზარი მისი თანამხლები მამე-  
 ბით, ხელით შეეხენ, შეურაცხყვეს. თოკით ურემზე  
 დაკრეს, ცოცხალ-მკვდარი ქუთაისში ამოიყვანეს,  
 ციხეში მოათავსეს...

ხელისუფლება საქართველოში შემოსვლის დღი-  
 დანვე სვანეთთან ნახევრად საომარ მდგომარეობაში  
 იყო და ხშირ უთანხმოებათა დროს დიპლომატიუ-  
 რათ მოქმედებდა... ერთ ასეთ უთანხმოების დროს  
 სვანებმა დელეგატები გაგზავნეს თფილისში მოსა-  
 ლაპარაკებლათ. ხელისუფლებამ ეს დელეგატები  
 დაიჭირა, ციხეში ჩასვა. სვანებს მოხელეებთან, აღ-  
 მინისტრაციასთან კარგი განწყობილების აღდგენა  
 მოსთხოვა...

1924 წელს ზაფხულში შეურაცხყოფილი სვანე-  
 ბი ლაშეთის თფილ სამკურნალო აბანოს დაეცენ,  
 იქ მყოფი მობანავე ბოლშევიკების კომისრები დაი-  
 ჭირეს, გათოკვილი ლათვარის მთით შიდა თავისუ-  
 ფალ სვანეთში გადარეკეს...

თფილისში ხელისუფლებას შეუთვალეს: «ჩვენი  
 დელეგატები გამოგვიგზავნე, თორემ თქვენ კომის-  
 რების მოკვეთილ თავებს ტომრებით თფილისში გა-  
 ახლებთო».

ბოლშევიკებმა ამის საპასუხოთ 500 რუსის წი-  
 თელარმიელისაგან შემდგარი რაზმი ოთხი ზარბაზ-

ნით ქუთაისიდან გაგზავნა, რაჭა-ლეჩხუმიდან შემა-  
ვალი სვანეთის გზები შეკრა.

სვანეთის ასეთი მოქცევა ხელისუფლებამ საქა-  
რთველოს აჯანყების დასაწყისათ ჩასთვალა...

ციხეები ქართველი მამული შვილებით გაჭედი-  
ლი იყო; მასიურათ, ვაგონებით ციმბირში ასახლებ-  
დენ... ხალხი მაინც მოძრაობდა, აწყობილ ორგანი-  
ზაციებს ინახვიდა, საქართველოს გამათავისუფლე-  
ბელ კომიტეტის წევრებს თვალის ჩინივით უვლი-  
და, ჩეკა-ჯალათებისაგან თფილისში ინახვიდა...

ამ დროს მრავალ აქტიურ მომქმედ პირთა შო-  
რის დატყვევებული იყვენ უმთავრესი გამოცდილი  
ორგანიზატორები: ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვი-  
შვილი, ვალიკო ჯულელი, გოგიტა ფალავა და ვასო  
ნოდია...

გამწარებულმა ხალხმა, უმაღლესად რევოლუ-  
ციონურმა, ყოველგვარად შევიწროებულმა, სრუ-  
ლიად უკაპეიკოთ, ტექნიკურად მოუწყობელმა, მი-  
უხედავად იმისა, რომ მას საუკეთესო შვილები და-  
უხვრიტეს, ვინც ცოცხალი გადარჩა ჩეკის სარდა-  
ფებში გამოუმწყდიეს თუ ციმბირში გადაუსახლეს  
—მისი ეროვნული მთავრობა აიძულეს საზღვარ-  
გარეთ გახიზნულიყო, სასოწარკვეთილებამდე მიყვა-  
ნილმა მაინც გაბედა საბედისწერო ნაბიჯი გადაე-  
დგა: იარაღს მოკიდა ხელი და 1924 წელს აგვისტოს  
28 ს საერთო აჯანყება დაიწყო...

K 66.802  
2

